№ 101

ხუთშაბათი, 16 ივნისი

1877—1905

გაზეთის ფასი დამატებით: წლიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверiа".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 101

ხუთშაბათი, 16 ივნისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია".

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 ივნისიდან წლის დამლევამდის 5 მ. 50 კ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ Редакцiя газ. „Иверiа".

ივნისის 19-ს „ბელ-ვიუს" ბაღში გაიმართება

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

სეირნობა და ბაზარი

მიიღება შემოწირულება ბაზრისათვის „საზოგადოების" კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა).

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის" რედაქციაშიაც

ნაწერები

პეტრე უმიკაშვილისა

გამოცემა „ცისკარი"-ს ამხანაგობისა.

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილლუსტრაცია.

ფასი 30 კაპ. (30—13)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ... ებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардiана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 1) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ბძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კორუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 სათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ჩვენებური „ლიბერალები"

ვინ არ იცის, რომ ესა თუ ის საზოგადოებრივი კლასი ყველა ქვეყნებში ერთსა და იმავე დროს არ იბადება და ერთნაირს პირობებში არ ვითარდება. იმ დროს, როდესაც დასავლეთ ევროპაში მოქალაქობრივობა წარმოსდგა და თანამედროვე კულტურა აღორძინდა, ჩვენ ჯერ კიდევ ფეოდალურ წესწყობილებაში ვიყავით ჩაბმული და საშუალო საუკუნეთა დროინდელ სოციალ-ეკონომიურ ვითარებაში ვცხოვრობდით. და დღეს, როდესაც ჩვენშიაც, ეს-ეს არის, ფეხს იკიდებს მოქალაქობრივობა და ამ მოქალაქობრივობის დამახასიათებელი სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფთა განსაზღვრულის ხასიათის სურვილი და მისწრაფება ირკვევა, დასავლეთ ევროპაში ამ მოვლენას უკვე გრძელი ისტორია აქვს, რომელმაც არა ერთი და ორი საგულისხმიერო გაკვეთილი მისცა კაცობრიობას! ერთის მხრივ, წარსულ ისტორიის ფაქტების გაცნობა, მწერლობის საშუალებით ამ ფაქტების ნამდვილ აზრის თანდათანი გავრცელება და, მეორე მხრივ, თვით მოქალაქობრივობის ჯერ კიდევ შედარებით სუსტი განვითარება ჰქმნის ჩვენში ერთნაირ გონებრივ ატმოსფერას, რომელსაც თვალსაჩინო გავლენა აქვს საზოგადოებრივ კლასთა თვით-შემეცნებასა და სულიერს ვითარებაზე.

როდესაც ბურჟუაზია დასავლეთ ევროპაში პოლიტიკურ სარბიელზე გამოვიდა, ლიბერალიზმის დროშა ააფრიალა და ძველ ფეოდალურ მტარვალობას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა, მაშინ იქაურ საზოგადოებას არა ჰქონდა ამ მხრივ თვალ-წინ ისტორიული გამოცდილება და ამიტომ არავის შეეძლო იმის სისწორით გამოცნობა, თუ რამდენად განხორციელდებოდა რეალურ ცხოვრებაში ბურჟუაზიის ლიბერალურ დროშის ლოზუნგი: ძმობა, თავისუფლება და თანასწორობა. მაშინ ბევრ გულწრფელ მოღვაწეს, რომელიც იდეალურ მისწრაფებით იყო აღფრთოვანებული და გატაცებული, მართლა სჯეროდა და იმედიც ჰქონდა, რომ ბურჟუაზიული ხანა ნამდვილად განახორციელებდა სამართლიანობის იდეალს იმ წესწყობილებაში, რომელსაც ახალი კლასი—ბურჟუაზია—მომხრეობდა და რომელშიაც ყველას ბედნიერებას უქადიდა.

სამწუხაროდ, შემდეგმა ისტორიამ არ გაამართლა ეს იმედი და ეს დაპირება. მოქალაქობრივობის პრინციპებმა გაიმარჯვა, ძველის მონობის მომხრე ძალები დამარცხდნენ და ამ გარემოებას შედეგად მოჰყვა გამარჯვება და გაბატონება იმ ერთის კლასისა, რომელსაც დღეს ბურჟუაზიას ვეძახით. თუმცა ბურჟუაზიამ წინანდელ წყობილებასთან შედარებით დიადი პროგრესიული საქმე შეასრულა, მაგრამ მან მაინც ნამდვილი ძმობა და თანასწორობა ვერ განახორციელა. ის საშინელი კლასობრივი ბრძოლა, რომელიც დღეს სწარმოებს დასავლეთ ევროპაში, ის სოციალური განწყობილება, რომელიც არსებობს იქაურ საზოგადოებაში, ცხადი მაჩვენებელია იმისი, რომ ჯერ კიდევ შორსაა ხანა ნამდვილ ძმობისა და თავისუფლება-თანასწორობის განხორციელებისა.

მაგრამ ეს ვითარება მხოლოდ დღეს არის ცხადი და იგი ასევე ცხადი არ იყო მაშინ, როცა ახალი წესწყობილება, ეს-ეს იყო, ფეხს იკიდებდა და ძველის ალაგს იჭერდა. მაშინ ყოველ ბურჟუას, ვითარცა პროგრესიულ იდეისა და მოძრაობის წარმომადგენელს, თამამად შეეძლო თავის სახელით ემაყნა და თვისი ბურჟუობა საჯაროდ და დაუფარავად გამოეცხადებინა. განვითარების შემდეგმა მსვლელობამ გააძლიერა სოციალური უთანხმოება და ბრძოლა და სავსებით გამოამჟღავნა კლასობრივი ელფერი და ხასიათი ლიბერალურ დროშის ამფრიალებელ საზოგადოებრივ ჯგუფისა. ყველა ბურჟუაზიული პარტიები დღესაც სრულიად არ ერიდებიან ბურჟუის სახელს, რადგან თავიანთ პროგრამის მუხლებში გარკვევით იცავენ იმ პრინციპებს, რომლებზედაც დამყარებულია ბურჟუაზიულ კლასისა და წყობილების არსებობა. ერთის სიტყვით, ევროპაში დღეს არც ერთ ბურჟუაზიულ ფრაქციის წარმომადგენელს ფიქრად არ მოუვა კამათი დაგიწყოთ იმის გამო, რომ იგი ბურჟუა არის, რომ ლიბერალიზმის პრინციპებს მომხრეობს და არსებულ საზოგადოების სოციალ-ეკონომიურ საფუძველს იცავს და ქომაგობს.

სულ სხვა ვითარებაა ჩვენში. იმ ბრძოლის შინაარსი და რადიკალურ პარტიების მხრით სასტიკი კიცხვა ბურჟუაზიისა, მკაცრი კრიტიკა არსებულ წესწყობილებისა, რომელიც ყოველ-დღე სწარმოებს დასავლეთ ევროპაში, მწერლობის შემწეობით ჩვენშიაც ვრცელდება და აქ, შედარებით ჩამორჩენილ ქვეყანაშიაც, ჰქმნის განსაზღვრულ იდეურ გავლენას. ეს მუდმივი კრიტიკა ბურჟუაზიისა ძალაუნებურად მოქმედებს ყველა წრეების მკითხველებზედა, მათ შორის, ბურჟუაზიის წარმომადგენლებზედაც. როგორადაც ბევრს თავადს, გლეხთა მოძრაობისა და ქართულ პრესსის გავლენით, დღეს ერიდება თავის სადარბაზო ბარათზე „თავადი" მოაწეროს, თუნდაც იდეურად სავსებით მიმხრე იყოს „აზნაურულ" აზრებისა, ისევე არა ერთსა და ორს იდეურ ბურჟუას ეძნელება დღეს ჩვენში საჯაროდ გამოაცხადოს თავისი ბურჟუობა და დაუფარავად გამოაჩინოს თავისი კლასობრივი ფიზიონომია. ამ გაუბედაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, რომ ჩვენში სოციალური დიფერენციაცია ჯერ კიდევ დიდად განვითარებული არ არის, ბურჟუაზია ჯერ კიდევ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენს და ამიტომ ამ ლიბერალ კლასის წარმომადგენელსაც ერიდება თავის „მე"-ს გამომჟღავნება და თავის ვინაობის უბოდიშოდ გამოცხადება.

სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის ამბავი, რომელიც ტფილისის საბჭოს დარბაზში მოხდა ამ ორის დღის წინად. ბ-ნმა ხუდადოვმა გააგებინა ხმოსანთა კრებულს, რომ ჩვენ მუშები ბურჟუებს გვეძახიანო. ეს სახელწოდება ვითომ არ ემამა ხმოსნებს და „პროტესტი" განაცხადეს. ბ-ნმა ხატისოვმა და ბაბოვმა პათოზით გამოსთქვეს თავისი პროტესტი და უარჰყვეს დიდუბის უბნიდან გამოგზავნილი ნათლობის სახელი,—ჩვენ ბურჟუები არ გახლავართო. რასაკვირველია, ყველას, ვინც კი იცნობს ჩვენის საბჭოს შედგენილობას, ასეთი პროტესტი და განცხადება გააცინებს, მაგრამ მარტო სიცილი არა კმარა რაიმე მოვლენის ასახსნელად და ჩვენც სწორედ ამისთვის ვსცანით საჭიროდ, ამ „პროტესტის" პსიხოლოგიურ საფუძვლის გასაგებად ზემოაღნიშნული განმარტება წარმოგვედგინა.

ეს არის თეორიული მოსაზრება, რომელიც გვიხსნის და გასაგებად გვიხდის ჩვენებურ ბურჟუათაგან თავის პიროვნების უარისყოფას. გადავხედოთ ეხლა ფაქტებს, რომელნიც გვაჩვენებენ, თუ რამდენად სწორი და საბუთიანია საბჭოს წევრთა „პროტესტი" და ,,აღშფოთება''.

სწორედ იმ კრებაზე, რომელზედაც ,,ბურჟუობის'' წინააღმდეგ პროტესტი გამოსთქვეს ჩვენმა ხმოსნებმა, დიდი კამათი იყო ძმ. ზუბალაშვილების-მიერ შემოწირულ სახალხო სახლის შესახებ. როგორც მკითხველმა იცის, ზუბალაშვილებმა იმ პირობით მისცეს ქალაქს ეს სახლი, რომ მის მართვა-გამგეობაში სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლები ერივნენ და საქმეს ერთობითა და შეთანხმებით განაგებდნენ. ჩვენმა მადიანმა ხმოსნებმა ეს არ მოიწონეს და სახლის გამგებლობის უფლება მარტო თავისთვის მოითხოვეს. ის საზოგადოებანი, რომელთაც ზუბალაშვილებმა სახალხო სახლის წარმოების საქმეებში მონაწილეობის უფლება დაუთმეს, ჩვენმა მაღალსაყელოიანმა ხმოსნებმა „ხულიგანებისაგან" შემდგარ დაწესებულებებად ჩასთვალეს, ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს აქაც არ უღალატეს და ბატონობის უფლება მხოლოდ თავისთვის მოინდომეს. ბურჟუაზია მომხრეა ისეთის უფლებისა, რომელიც უმთავრესად მას არგებს, მის ძალასა და გავლენას გაადიდებს...

* * *

თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა საყურადღებოდ

სანამ რუსეთი მძლავრად არ დამარცხდა მანჯურიის ველზე, მანამდის არავის არა ჰქონდა ფიქრად, რაიმე ცვლილება შეეტანა რუსეთის სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. სადგილ-მამულო ბანკის მართვა-გამგეობაზედაც მხოლოდ მაშინ დაიწყო სჯა-ბაასი, როდესაც მეხმა დაიგრიალა.

დღეს ყველას გაგებული აქვს, რომ ბანკს შერჩენია მრავალი მამული სხვადასხვა დროის გამართულ საჯარო ვაჭრობაზე. მორიგი კრება, რომელიც ახლა თვალ-გაფაციცებით ეძებს დამნაშავეთ და არ იცის, სად აღმოაჩინოს იგი: დამფასებელ კომისიაში თუ გამგეობაში,—ყოველთვის გულგრილად დახვედრია ყოველ წინადადებას რომელისამე მცოდნე, საბანკო-ფინანსიურ საქმეში გაწაფულ რწმუნებულისას, რომელსაც ბანკის მართვა-გამგეობის წესრიგის შეცვლა და ამ დაწესებულების ინტერესების დაცვა ჰქონია მიზნად. სწორედ ამ უყურადღებობაში, სწორედ ამ გულგრილობაში უნდა ვეძიოთ ის მთავარი [illegible], რომლის წყალობით დღეს ბანკის საქმეები [illegible]სასურველ მდგომარეობაშია. მართლაც, როდესაც კრება კრიტიკის ცხრილში არ ატარებს გამგეობის მოქმედებას და მათს წინადადებას ამა თუ იმ ფინანსიურ საკითხის შესახებ. ეს კრება უნდა ჩაითვალოს ერთად-ერთ დამნაშავედ ბანკის საქმეების არა-სასურველ მსვლელობაში, რადგანაც იგი ამ შემთხვევაში მორჩილი ყმა ხდება მისგან არჩეულ გამგეებისა.

დავასურათოთ მაგალითით. როდესაც ვანო მაჩაბელმა წარუდგინა ბ-ნ დობეცკის, ფინანსთა სამინისტროსაგან გამოგზავნილ რევიზორს, თავისი მოხსენება ბანკის საქმეების მსვლელობის შესახებ და, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ გამგეობა მოვალეა დამფასებლებისაგან შედგენილი აქტები დაწვრილებით განიხილოს, თვით დასაგირავებლად წარმოდგენილი მამულები დაათვალიეროს და ისე გადასწყვიტოს მამულის ფასი და სესხის რაოდენობაო, ვინაიდან მხოლოდ ასეთ კონტროლს შეუძლიან დაიფაროს ბანკი საშინელ ზარალისაგანო. რევიზორი სრულიად დაეთანხმა ამ აზრს და თავისი აზრი სამინისტროს საშუალებით კიდეც შეატყობინა ბანკის მმართველებს. გამგეობამ მაშინ ყოველი ღონისძიება იხმარა, როგორმე გაექარწყლებინა ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ამ ამბავმა: კრებას წარუდგინა ვრცელი მოხსენება, სადაც, სხვათა შორის, ამტკიცებდა, რომ გამგეობა მოვალე არ არის, დასაგირავებელი მამულები შინჯოს, რომ დამფასებელი კომისია თავისუფალი, დამოუკიდებელი ორგანო არისო და სხვ.

თუმცა ყოველივე მაშინდელი ნათქვამი გამგეობის-მიერ წინააღმდეგი იყო ბანკის წესდების შინაარსისა, მაგრამ საზოგადო კრებამ ყველაფერი დაუჯერა გამგეობას და აღძრულ საკითხის შესახებ დაადგინა შემდეგი: გამგეობის აზრი იმის შესახებ, **იგი არც მოვალეა და არც უფლება აქვს დასაგირავებელი მამულები შინჯოს და ათვალიეროს**,—სრულიად მართალია; მხოლოდ გამგეობას, როგორც ბანკის სხვა წევრსაც, ნება აქვს ფაქტების მხრით გადასინჯოს, დამფასებელ აქტის საბუთები, რომ დარწმუნდეს მათს სისწორეში. აი, რა ორჭოფად გადასწყვიტა ეს ბანკისათვის მეტად საყურადღებო საგანი მაშინდელმა საზოგადო კრებამ.

მართლაც, თუ არ მამულების გასინჯვით და დათვალიერებით, რანაირად უნდა დარწმუნდეს ბანკის გამგეობა ან თვით ბანკის წევრი დამფასებლის აქტის მასალის სინამდვილესა და სისწორეში? აი, სადამდის მიიყვანს, როგორც კერძო ადამიანს, ისე მთელს კრებას მორჩილად თავის მოხრა.

მას შემდეგ რამდენჯერმე ყოფილა ლაპარაკი საზოგადო კრებებზე ამ საგნის შესახებ. გამგეობა მუდამ ამტკიცებდა, რომ იგი მოვალე არ არის შინჯოს და ათვალიეროს დასაგირავებელი მამულები, საზოგადო კრების უფრო გაგებული წევრები კი დაჟინებით უარჰყოფენ გამგეობის ასეთ აზრს, რომელიც საზარალოა ბანკისათვის, მაგრამ ნუ თუ ახლაც ბანკის რწმუნებულთა კრება ყურს მოიყრუებს და არ შეჰხედავს საგანს ნამდვილის თვალით?..

ჩვენის აზრით, მიზეზი ბანკის საქმეების უკუღმართ მსვლელობისა არის ის წესრიგი, ის სისტემა, რომელიც გამეფებულია ჩვენს ბანკში. მუდმივი ქიშპობა, ხშირი ცილობა სუფევდა გამგეობასა და დამფასებელ კომისიას შორის. პირველს დამორჩილება სურდა მეორე ორგანოსი. ეს უკანასკნელი კი არა ნებდებოდა და ხშირად კარგის, ლაზათიან სიტყვებით შემკულ პასუხებს აძლევდა ხოლმე ბანკის უმთავრესს აღმასრულებელ ორგანოს. ზედამხედველი კომიტეტიც,—ეს კონტროლის მქონე ორგანო,—ხშირად უფრო სეირის ყურებას რჩეობდა, ვიდრე ამ დაუსრულებელ ცილობაში ჩარევას. ის მხოლოდ შესაფერ შინაარსიის ქაღალდებს აგზავნიდა გამგეობაში, მაგრამ—ამაოდ: ხშირად გამგეობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ: როდესაც, წესდების ძალით, ასეთი განცალკევება სუფევს დაწესებულებაში, რანაირად უნდა იყოს მოწყობილი ამ დაწესებულების მოქმედება! ცხადია, უკუღმართი მსვლელობა იქნება ამგვარად მოწყობილ საქმის ნაყოფი.

ამიტომ რწმუნებულთა ცდა, მათი ძალ-ღონე ამ მთავარ მიზეზის აცილებისკენ უნდა იყოს მიმართული. საჭიროა, უსათუოდ გაუქმდეს დამფასებლების ახლანდელ არჩევანის წესრიგი. ახლა მათ ირჩევს კრება. ამით ყოველთვის გამგეობას ნება ეძლევა, თუ დამფასებელი რიგიანი არ გამოდგა, სთქვას,—ჩემი ამორჩეული ხომ არ იყო, კრებამ თვითონ ამოარჩია, ჩემი რა ბრალიაო. აბა, ბანკის ცხოვრების მუდმივ მეთვალყურეებმა მოიგონონ, რამდენჯერ გაუგონიათ ეს სიტყვები გამგეობისაგან?.. საჭიროა, ამ არჩევანის ყოველივე პასუხისმგებლობა ვაკისრებინოთ ბანკის უმთავრესს ორგანოს—გამგეობას. ამან უნდა აირჩიოს დამფასებლები.

აბა, გადავხედოთ იმ ბანკის მოქმედებას, რომლის დამფასებლობის საქმეც ასეა მოწყობილი. აი, მაგალითად, საქალაქო საკრედიტო საზოგადოებანი. ყველგან დავინახავთ, რომ, სადაც გამგეობა ან თვითონ აფასებს ბანკში დასაგირავებელ მამულებს, ან მისგანვე არჩეულ პირებს აფასებინებს, იქ ყოველთვის ფრთხილად არის დაყენებული სესხის გაცემის საქმე. იქ კი, სადაც გამგეობა და დამფასებელი კომისია ცალ-ცალკე ორგანოებს წარმოადგენენ, ყოველთვის მეინებელი ცილობაა და საქმის შეფერხება. მაშასადამე, დამფასებლების არჩევა ან მარტო გამგეობას უნდა დავაკისროთ, ან და მას და ზედამხედველ კომიტეტს ერთად. როდესაც ბანკის აღმასრულებელ ორგანოებს ეცოდინებათ, რომ ისინი არიან დამფასებლების არჩევანში პასუხისმგებლები, მაშინ ისინი ძალიან წინდახედულად მოიქცევიან და იმისთანა გულ-გრილობას არ გამოიჩენენ, როგორც ახლა.

ზედამხედველი კომიტეტი?!

ეჭვს გარეშეა, ამასაც სჭირია დიდი ცვლილება. ახლანდელი მისი მდგომარეობა გვიმტკიცებს, რომ ის სრულიად ზედ მეტი ორგანოა. მართლაც, რა შეუძლია ახლა კომიტეტს? იგი მხოლოდ მაშინ იწყებს მოქმედებას, როდესაც ბანკის დანარჩენი ორგანოები ათავებენ თავისს მოქმედებას, ესე იგი, კონტროლს უკეთებს მხოლოდ მაშინ, როდესაც, იქნება, კიდეც წახდენილია საქმე. მაშასადამე, ისე უნდა შეიცვალოს ეს წეს-რიგი, რომ ზედამხედველი კომიტეტი უფრო ახლო იყოს გამგეობასთან დაკავშირებული, რომ მას ნება ჰქონდეს გამგეობის სხდომებს დაესწროს, და თუ რაიმე მავნე გარდაწყვეტილება შენიშნა, შეაჩეროს ამის სისრულეში მოყვანა და გადასცეს კომიტეტს განსახილველად და შესაფერ მსჯავრის დასადებად. ამნაირად შეიძლება აღვადგინოთ ბანკის ორგანოების ერთობა და საზოგადოდ საერთო სამსახური ერთის მიზნისადმი. ეს წესრიგი უფრო დაიცავს ბანკის ინტერესებს, რადგანაც პასუხის-მგებლობაც საერთო იქნება. აი, ახლა, როდესაც საქმე გაფუჭდა, მხოლოდ ახლა დაიწყეს მოქმედება გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმაც. ორთავემ ინებეს და ბანკში დარჩენილი მამულები გაშინჯეს, დაათვალიერეს და თავის დასკვნით წარუდგინეს კრებას. თუ ახლა მოახერხეს, თუ ახლა თავისს თავს ნება-დართეს, რატომ მაშინ არ გამონახეს ეს უფლება, როდესაც სესხს აძლევდნენ?

ასე და ამგვარად, ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ მაშინ, როდესაც ძირითადი ცვლილება მოხდება ისე, როგორც ახლა ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაშია, სადაც პასუხისმგებლობა ნაკისრი აქვს მარტო გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტს, მხოლოდ მაშინ,—ვამბობთ,—დამყარდება ის წეს-რიგი, რომელიც გამოიყვანს სადგილ-მამულო ბანკს საფრთხედან, რომელშიაც ახლაა ჩავარდნილი. მეტადრე ახლა არის საჭირო ამაზე ზრუნვა, რადგანაც მეტად გამწვავებულ ხანაში ვცხოვრობთ. „დამნაშავეებს" დაეძებენ, მაგრამ დამნაშავე თვით კრებაა, რომელმაც დღემდის არ ინება მავნებელ წეს-რიგის შეცვლა. იქნება ახლა მაინც ჩაუფიქრდეს ამ მდგომარეობას და ეს ყოვლად საჭირო ცვლილება შემოიღოს..

ფელიქს.

* * *

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 ივნისი.

პარიზი, 13 ივნისი. ეტყობა, რომ მაროკოს საკითხს ისეთის სიმწვავით აღარ ეკიდებიან.

პარიზი, 14 ივნისი. საფრანგეთსა და გერმანიას შორის მოლაპარაკება კარგად მიდის. საფრანგეთი უსათუოდ პრინციპიალურად კონფერენციის მოწვევა'ზე დასთანხმდება.

ლონდონი, 14 ივნისი (რეიტერი). ქვედა პალატამ, 329 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 257-სა უარჰყო ის წინადადება, რომ სამხრეთ აფრიკაში მომხდარ ბრძოლა-მოქმედებისათვის მთავრობას გამოეცხადოს განკიცხვაო.

ნიუ-იორკი, 18 ივნისი. „ჰერალდის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ჩინეთმა ექვსი მილიონი დოლლარი შეაძლია გამოსასყიდად იმ კონცესიისა, რომელიც ამერიკა-ბელგიის საზოგადოებას მიეცა კანტონსა და ხანკოუს შუა რკინის გზის გასაყვანად. ჩიკაგოში მყოფ ამერიკის ქვეშევრდომმა ოცი-ათასმა ნორვეგიელმა რუზველტს პეტიცია გაუგზავნა. ამ პეტიციაში რუზველტს სთხოვენ, ნორვეგია ახალ სახელმწიფოდ აღიაროს.

კანეია, 14 ივნისი. პრინც გეორგის მრჩევლებმა სამსახურს თავი დაანებეს იმიტომ, რომ საბერძნეთთან შეერთებაზე უარის თქმა ქვეყნის მართვა-გამგეობას შეუძლებლად ჰხდის. პრინცმა სამსახურის თავის დანებებაზე უარი განაცხადა.

დონის როსტოვი, 14 ივნისი. აქაურ საბჭოს სამმა ამორჩეულმა ხმოსანმა უარი განაცხადა ხმოსნობაზე.

სიმფეროპოლი, 14 ივნისი. ადგილობრივმა ბახჩისარაის თათრებმა გუბერნატორს სთხოვეს, გადაასახლეთ მძარცველები, რომლებიც მოსარჩენად არიან მოსულები და ციხეებში კი სხედანო.

ხარკოვი, 14 ივნისი. გუბერნიის საერობო კრებამ დაადგინა, ხელმეორედ აღძრას შუამდგომლობა ხოლერასთან საბრძოლველად სახალხო კითხვების გამართვის შესახებ ისე კი, რომ ამისთვის მარტო შეტყობინება იყოს საჭირო და არა წინასწარი ნება-რთვა.

ვენა, 14 ივნისი. რეიხსრატმა არ მიიღო შენერერის მიერ უკანასკნელ სხდომაზე წარდგენილი წინადადება, რაც შეიძლება მალე განეხილათ საკითხი უნგრეთთან უნიის გაწყვეტის შესახებ.

პარიზი, 14 ივნისი. გერმანიის პასუხი რუვიეს ნოტის შესახე გუშინ მოვიდა. გერმანიას კონფერენციის მოწვევა წინასწარ შეთანხმებამდე სურს.

ლიბავა, 14 ივნისი. ნოვოტორჟკის 114 პოლკის ორი ბატალიონი მოვიდა.

ერევანი, 14 ივნისი. ერევანში სიმშვიდეა, მაგრამ მცხოვრებლები მაინც აღელვებულნი არიან, რადგანაც მაზრებიდან ცუდი ხმები მოდის. ამბობენ, რომ სპარსეთის მაჰმადიანებს უნდათ ჩვენს საზღვრებში შემოსვლა, მაგრამ, ჯერ-ჯერობით, ამ განზრახვას მდ. არეზის სიდიდე და ბორნების მოხსნა უშლის ხელსო.

პეტერბურგი, 14 ივნისი. ოფიციალური. შეერთებულ შტატების ელჩმა 12 ივნისს გარეშე საქმეთა მინისტრს შეატყობინა, რომ ვაშინგტონში იაპონიისა და რუსეთის რწმუნებულთა შეხვედრის ვადად აგვისტოს პირველი რიცხვები (ახალის სტილით) დანიშნეთო. 12 ივნისს გრაფმა ლამსდორფმა შეატყობინა, რომ რუსეთი ამ პირობაზე თანახმა არისო. „ნოვოსტის“ სიტყვით, ხმები, ვითომც „სინ ოტეჩესტვა“ დახურესო, სიმართლეს მოკლებულია. უკანასკნელი ორი ნომერი ცენზურამ 144 მუხლის ძალით დაიჭირა. დანარჩენი ნომრები ჩვეულებრივად გამოვა.

კავკავი, 14 ივნისი. კავკასიის ნამესტნიკმა განკარგულება მოახდინა,—დაუყოვნებლივ შემოიღონ თერგის ოლქში ყველა სოფლებში ამორჩეულ მამასახლისებისა და მწერლების ინსტიტუტი და გროზნიაში ადგილობრივი საოსტატო სემინარია, ორი აგრონომიული და რამდენიმე პირველ-დაწყებითი სკოლა დააარსონ.

პეტერბურგი. ზაიაზიტოვს პეტერბურგში ნება მიეცა სავეირაო გაზეთი „ხური“ გამოსცეს. ზაიაზიტოვს ნება ექმნება, კვირაში ორი სამი ნომერი გამოსცეს ხოლმე.

ოდესა, 14 ივნისი. გაფიცულნი დილიდანვე ქუჩა-ქუჩა დადიან და მუშაობის შეჩერებასა და მაღაზიების დაკეტვას თხოულობენ. ზოგან ბრბომ პოლიციას ქვები დაუშინა. დაშავებულებიც არიან. შუაგულ ქალაქში ვაჭრობა შეჩერებულია. მცვიდრნი შეშფოთებულნი არიან. მთელს ქალაქს გაძლიერებული საპოლიციო დარაჯები იცავენ. ცხენოსანი კაზაკები მიდი-მოდიან. განსაკუთრებით მოძრაობა ქალაქის განაპირა ადგილებშია, ნამეტნავად იქ, სადაც ქარხნებია. პოლიციასთანა და კაზაკებთან რამდენიმე შეტაკება მოხდა.

ვარშავა, 14 ივნისი. ყველა გაზეთები გამოვიდა. ბევრი მუშაა გაფიცვის წინააღმდეგი. დღეს ქარხნებში მუშაობა იწყება. ქალაქი წყნარდება. უნივერსიტეტის სამი დეკანი, რომლებიც სტუდენტთა გამასამართლებელ სასამართლოს წევრებად დანიშნეს, აცხადებენ, უკანონოდ მიგვაჩნია კრებებზე მოსიარულე სტუდენტების პასუხის გებაში მიცემაო. სამივემ ქაღალდი შეიტანეს, დეკანობაზე უარს ვაცხადებთო. რექტორი ზილოვიც სამსახურს თავს ანებებს.

ბელოსტოკი, 14 ივნისი. ხმა გავრცელდა, დაწიოკება და აკლება მოხდებაო. ამისთვის ებრაელ და ქრისტიან მუშათა მშვიდობიანი კრება მოხდა. გადასწყვიტეს, საერთო ძალითა და მეცადინეობით თავიდან აიცილონ აკლება-დაწიოკება და, თუ მართლა მოხდა იგი, სათავეშივე ჩააქრონ.

პეტერბურგი. ადმირალთა საბჭოს დარბაზში დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძისა და მრავალ უფროსების თანადასწრებით, თათბირობა მოხდა გემების ასაშენებლად ახალის პროგრამის შესახებ. 11 ივნისს ორანიენბაუმში ტყვიის-მტყორცნელთა 22 და 37 ქვეითა დივიზიები დაათვალიერეს. ეს დივიზიები შორეულ აღმოსავლეთში გაიგზავნებიან.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

14 ივნისი

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა ინფანტერიის გენ. ლინევიჩისა, 13 ივნისის თარიღით: „12 ივნისს რკინის გზის აღმოსავლეთით მტრის მოდარაჯე რაზმმა ცხენოსან ჯარის დახმარებით ჩვენს მოწინავე ცხენოსან რაზმზე იერიში მიიტანა და ჩრდილოეთით დაახევინა. 11 ივნისს ხაილუნჩენის რაიონში მდინარე ცინხესთან მდგომ მოდარაჯე რაზმს მტერმა უკან დაახევინა. მოხალისეთა რაზმი მიაშველეს, მაგრამ მტერი ყუმბარებით დაუხვდა. მთებში იაპონელების ქვეითა ჯარი მოსჩანდა.—9 ივნისს კორეის რაიონში მტერმა იერიში განაგრძო და ჩვენს ავანგარდის ასეულებს უკან დააწევინა“.

მოსკოვი, 14 ივნისი. უმაღლეს ბრძანების ძალით 15 ივნისს უნდა დაიწყოს სათადარიგო ჯარის-კაცთა მოწვევა. მათი მიღება 20 დღეს გაგრძელდება, დღეში 1500 ჯარის კაცს წაიყვანენ და მაშინვე გაგზავნიან თავთავის ადგილას რომ ამითი შეუძლებელი გახადონ არეულობა. დიდი მთავრის ქვრივი ელისაბედ თეოდორეს ასული ყვითეულს დაურიგებს პატარა ტომარას, რომელშიაც ჯარის კაცისათვის საჭირო რამეები იქნება.

ტოკიო, 14 ივნისი. იტომ გაგზავნა სასებოში ადიუტანტი როჟესტვენსკის მოსაკითხავად, თანაგრძნობისა და პატივისცემის გამოსათქმელად. როჟესტვენსკიმ მადლობა შემოუთვალა.

შანჰაი, 14 ივნისი. მოვიდა საავადმყოფო გემი „მონგოლია“, რომელსაც პორტ-არტურთან ას-ორმოცდა-ათი მილი გარს უნდა შემოევლო ნაღმების შიშით. გემს დიდი შეკეთება დასჭირდება. როჟესტვენსკის ექიმი ამბობს, მისი იარა ყველა შეიკრაო.

ტოკიო, 13 ივნისი. მოჯიდან მოსულ აფიცრის სიტყვით, იაპონელების მარჯვენა ფრთის პირდაპირ რუსის ორი დივიზია სდგას აუარებელის ზარბაზნებითო. რუსების ავანგარდი გოდოკანიდან 42 მილის მანძილზე სდგას. ხარბინში 60 დიდი და იმდენივე მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზანი აქვთ. იაპონიის რაზმს, რომელმაც ჩრდილოეთ კორეაში კიონ-სიონი დაიჭირა, კიდევ ჩრდილოეთით 25 მილის სიშორეზე გადაუნაცვლია. ნანჩენძის გვერდზე ოცი ათასი რუსის ჯარი და არტილერია სდგას. ამ ჯარში ურევია გენერალ მადრიტოვის რაზმიც, რომელიც ჩინელ ხუნხუზებისგან შესდგება.

კოლომბო, 13 ივნისი. აქ დაბრუნდა გემი „მაკედონია“, რომელმაც ამ რამდენიმე ხნის წინად ბალტიის ესკადრას ნახშირი წაუღო. ამ გემს იაპონიის კრეისერი დაედევნა.

გოძიადანი, 14 ივნისი. დილის 11 საათი. 9 ივნისს იაპონელები წინ დაუხვდნენ იმ რაზმს, რომელიც შიმიაოცისკენ გაგზავნილი იყო. იაპონელებმა გვერდით მოუარეს რუსის რაზმს და აიძულეს უკანვე დაწეულიყო ლიავუშანისკენ. ორმოცი წუთის განმავლობაში იაპონელთა სამთო არტილერია ყუმბარას უშენდა რუსებს, რის გამოც 24 ჯარისკაცი დაიჭრა. 12 ივნისს იაპონელებმა წინ წაიწიეს. რუსების მარცხენა ფრთის პირდაპირ დიდძალი იაპონელთა ჯარი აღმოჩნდა. კორეაში იაპონელთა მოწინავე რაზმები ჩუჩუდეგპუგტინის გასწვრივ არიან.

ტოკიო, 14 ივნისი. რუსები მდ. ტუმენის მეორე ნაპირას გადადიან და ძუდაოლინის მთებში ზანაკდებიან. იენპანში რუსები დროებით სიმაგრეებს აგებენ და სახელდახელო ხიდებს აკეთებენ. იაპონიის კავალერია კიონ-სიონიდან 30 მილის მანძილზე სდგას.

ლონდონი, 14 ივნისი. არისუგავას ინგლისში მისვლის მიზანი ის არის, რომ იაპონიას გარანტია მოუპოვოს, რომ უცხო სახელმწიფოთა საქმეში ჩარევამ ხელი არ შეუშალოს იაპონიას გამარჯვების შედეგით სარგებლობაში.

(დამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

სესხი. ფინანსების მცოდნე გაზეთ „პტი ჟურნალ“-ს დანამდვილებით გაუგია, რომ პარიზისა, ბრიუსელისა, ამსტერდამისა და ბერლინის ბანკებს რუსეთისთვის შეუთვლიათ, ოღონდ ომი მოსპეთ, რუსეთში კონსტიტუცია შემოიღეთ და, იმდენ ფულს გასესხებთ, რამდენიც გნებავთო (ნ.)

ზავი და ოიამას ჯარი. ტოკიოდან დეპეშით ატყობინებიან: იაპონიის სამხედრო მინისტრმა გენერალმა ტერრაუჩიმ შეატყობინა ოიამას არმიას, რომ რუსეთი და იაპონია ზავზე მოლაპარაკების დაწყებას აპირობენო. ამასთან ტერაუჩიმ დაუმატა, რადგან წინდაწინვე იმის გამოცნობა არ შეიძლება, შევრიგდებით თუ არა ჩვენ და რუსეთი, ამიტომ ყოველ შემთხვევისთვის ზავის იმედი ნუ გექნებათ და ისე მოიქეცით, თითქო ამაზე ლაპარაკიც არ ყოფილაო (ნ. დ.).

მანჯურიაში. „ეკო დე პარი“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: როგორც ეტყობა, მანჯურიაში დიდი ბრძოლა დაიწყო. თუმცა, რუსების სიტყვით, ეს მხოლოდ მოდარაჯეთა შეტაკება არისო, მაგრამ ეს ცოტა დაუჯერებელია. აგერ ერთი კვირაა, რაც იაპონელები რუსებს უკან ახევინებენ და თანდათან წინ მიიწევენ. გენ. ლინევიჩის ორთავე ფრთემ უკან დაიწია. მისმა მარჯვენა ფრთემ 40 კილომეტრის მანძილი დაუტოვა იაპონელებს. ცხადია, გენ. ლინევიჩი ჯერ უკან დაიწევს, წინდაწინვე გამაგრებულ პოზიციაზე შეჩერდება და უკანასკნელად აქა სცდის ომის ბედს. გენ. ბატიანოვი და ლინევიჩი აცხადებენ, საცაა იაპონელებს მივესევით და დავამარცხებთო. ღმერთმა ქნას, რომ ლინევიჩმა იაპონელების მედგარ იერიშებს გაუძლოს, თორემ მისევასა და გამარჯვებას ვინღა ამბობს! გენ. კუროპატკინი რუსეთში დეპეშებს გზავნის, ჯარს ზავი არ უნდაო, და ამით ჯარის გამხნევება და გულის გაკეთება უნდა, მაგრამ ეს ტყუილი ცდა იყო. როცა ჯარმა გაიგო, მალე იაპონელებს შევურიგდებითო, სიხარულით ცას ეწეოდა (ნ.).

ლინევიჩის იმედი. „ჟურნალ“-ის თანამშრომელს ლინევიჩი უნახავს და ომის შესახებ უსაუბრნია. ლინევიჩს უთქვამს: რუსეთი ძალიან აჩქარდა ზავით. მართალია, პირველად ჩვენი საქმე ცუდად მიდიოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მთავარ-სარდლად მე დამნიშნეს, გამარჯვება უეჭველად ჩვენი იქნება. მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ; ჯარს ზავი არ უნდა, მაგრამ თუ პეტერბურგში ეგრე უნდათ, მეტი გზა არ არის, უნდა დავმორჩილდეთ.

ამ სიტყვების გამო „ჟურნალ“-ი შენიშნავს: ეს ბაქიაობა და კვეხნა რაღა არის.—„მას შემდეგ, რაც მთავარ სარდლად მე დამნიშნეს, ჩვენ უეჭველად გავიმარჯვეთო“, მაგრამ განა კუროპატკინი, სტესელი და როჟესტვენსკი აგრე არ ამბობდნენ? ლინევიჩი აცხადებს, ჯარს ზავი არ უნდაო, მაგრამ ჩვენც მშვენივრად ვიცით—და, იმედია, თვითონ ლინევიჩიც დაგვეთანხმება—რომ ჯარს ძალიან გუ[illegible] უნდა მორიგება და ურიცხვ დამარცხებისა და შერცხვენის გათავება. სჩანს, იაპონელებს ჯერ საკმაოდ ვერ უსწავლებიათ ჭკუა რუსებისთვის,—შენიშნავს ბოლოს გაზეთი და იაპონელებს ურჩევს, ლინევიჩს ნუ აწყენინებთ და ერთი თქვენებური ხაფანგი კიდევ დაუგეთო (ნ. დ.).

ვლადივოსტოკიდან გარბიან. დღემდის ვლადივოსტოკში უმეტეს ნაწილად ჩინელები მუშაობდნენ. ახლა კი, როცა ალყის ალღო აიღეს და გაიგეს, რომ, დღეს თუ ხვალ, იაპონელები ვლადივოსტოკს მოადგებიანო, დაიძრნენ და ჩინეთში მირბიან. რუსები ცდილობენ ჩინელების დატოვებას, ხელფასს უმატებენ და ათას შეღავათს აძლევენ, მაგრამ ჩინელებს ვერაფერი იჭერს (ს. ვ.)

დაღი. პოლონეთში დაბრუნდა ერთი ტყვე ექიმი ვრუბლევსკი, რომელიც იმ პირობით გაუშვებს იაპონელებმა, რომ იმან ომში არავითარი მონაწილეობა აღარ უნდა მიიღოს. ვრუბლევსკის ხელის გულზე იაპონელებმა ისეთი ნიშანი გაუკეთეს, რომელიც არიდროს არ გადავა. ყველას, ვინც ამ პირობებით იხსნის თავს ტყვეობიდან, იაპონელები ამისთანა დაღს ადებენ (ნ. დ.).

ჯილდო. წინად კუროპატკინმა რამდენჯერმე განიზრახა კერძო ექიმებისა და სათნოების დათა დაჯილდოვება, მაგრამ ისინი ყოველთვის უარს ამბობდნენ: ჩვენ სამშობლოსა და ავადმყოფებს ვემსახურებით და არა ჩინ-მენდლებსაო. ახლა ლინევიჩმაც განიზრახა მათი დაჯილდოვება, მაგრამ იმათ ისევ უარი განაცხადეს. ამის გამო რუსეთის სარდლები თურმე ძალიან ჯავრობენ, როგორ თუ ჩვენგან ჯილდოს არ იღებენო! (ნ.).

რევიზია. როგორც ვიცით, როჟესტვენსკის ესკადრა ადმირალმა ბირილიომა დაამზადა და ბრძოლის ველზე გაგზავნა. ახლა საზღვაო სამინისტროს ცალკე კომისია დაუნიშნავს. ამ კომისიამ უნდა გამოიძიოს ის მიზეზები, რომელმაც როჟესტვენსკის დამარცხებას ხელი შეუწყო. ამბობენ, ბევრი დამნაშავე აღმოჩნდება ამ რევიზიის დროსაო (რ.).

საინტერესო ტყვე. მუკდენში იაპონელებს დაუტყვევებიათ ერთ რუს გენერლის საყვარელი ქალი და მისი პიანინო. იაპონელებს ერთიცა და მეორეც ისევ გენერლისთვის დაუბრუნებიათ და თან შემდეგის შინაარსის წერილი მიუწერიათ: „იაპონელებს გენერლის საყვარელი ტყვედ არ მიჰყავთ, თვითონ გენერლებზე კი უარს არ იტყვიან (ნ.).

ახალი ამბავი

„კავკაზ“-ს გენ. **ალიხანოვი დეპეშით ატყობინებს**: „ტფილისის ფურცელში“ მოთავსებული წერილები ნახიჩევანსა და შარურის მაზრებში მომხდარ ამბების შესახებ სინამდვილეს იმდენად ამახინჯებს, რომ ადამიანს [illegible]ული [illegible] ცრუე ეგონება, ისეთი სიცრუე, [illegible] რომელსაც აზრად ბრბოს აღელვება და უწესოების წაქეზება აქვსო.

◆ **ბაქოდან გვატყობინებენ**: „იმ დროს, როდესაც ტფილისში მუსულმანებსა და სომხებს შუა გაცხარებული პროპაგანდაა ძმობისა და სოლიდარობის შესახებ, მუსულმანთა წრე ძალიან გაკვირვებულია იმ აგიტაციის გამო, რომელიც სატახტო ქალაქებისა და ადგილობრივ გაზეთებში გამართულა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „პეტ. ვედ.“-სა, «ბაქოსა»-სა და „ახალ მიმოხილვაში“ მოთავსებული წერილები. ყველა კეთილ-მოაზრე მუსულმანს აკვირვებს ის გარემოება, რომ მიმდინარე ამბებს ეს გაზეთები მთავრობისა და ქრისტეანობის საწინააღმდეგო ხასიათს აძლევენო“.

◆ ერევნის გუბერნიაში აკლებული და უსახლკაროდ დარჩენილი სომხები ტფილისის გუბერნიისაკენ მოილტვიან. ამ თვის ცამეტს ტფილისში **უკვე ჩამოვიდა ერთი ჯგუფი გადმოხვეწილ სომხებისა**.

◆ სამშაბათს, 14 ივნისს, შუადღისას, საშინელი ნიაღვარი მოსულა **ბაქოს ლიანდაგზე და გზა ძალზე გაუფუჭებია**. მატარებელთა მიმოსვლა შეჩერებულია. სახალხო მატარებელი № 3 სადგურ გერანში დარჩა, № 6 განჯაში და № 5 ევლახში. გზას სწმენდავენ.

◆ საქართველოს ეგზარხოსი ალექსი და სემინარიის რექტორი ნიკანდრი დეპეშით პეტერბურგს იქმნენ გაწვეულნი. ნიკანდრის **ეპისკოპოსად კურთხევა ტფილისში აღარ მოხდება**.

◆ საქართველოს ეგზარხოსი ალექსი და მისი კანცელარიის გამგე ტროიცკი შაბათს, 18 მაისს, **პეტერბურგს მიემგზავრებიან**.

◆ გუშინ, 15 ივნისს, ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის საბჭოს თავმჯდომარემ **დეკანოზმა მარკოზ ტყემალაძემ** ამ სასწავლებლის **საბჭოს თავმჯდომარეობაზე უარი განაცხადა**.

◆ ეგზარხოსის განკარგულებით, **დათხოვნილ იქმნენ თანამდებობიდან** ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის აღმზრდელი ქალები: ე. ბურჯანაძე, ახმეტელაშვილი და ლაშაური.

◆ გუშინ, 15 ივნისს, ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ განიხილა **მღვდლის ივ. კერესელიძის საქმე**. ამ მღვდელს მარიამ ჩაჩავა, ბორის ხორავა და ბიქტორ ჩიქელევი ბრალსა სდებდნენ, რომ იგი, ნარაკლიძესა და დავითაიასთან ერთად, დ. ოჩემჩირეში პროპაგანდას ეწეოდა სახელმწიფო წეს-წყობილების წინააღმდეგო. სინოდალურმა კონტორამ მღვდელი კერესელიძე გაამართლა.

ფელეტონი

მოაგონდა!..

(სურათი)

უმნიშვნელო იყო იგი, უშინაარსო, მაგრამ, მეც თვითონ არ ვიცი რადა, ის სურათი ახლაც თვალ-წინ მიდგია.

მაღალის, ქვითკირის გალავნით შემოზღუდულ საპყრობილეს მოკირწყლულ ეზოს მაისის მზე მხიარულად მოჰფენოდა და—ვით კეთილი დედა მახინჯ შვილს—ნესტიან შენობის კედლებს და მის დაღვრემილ, ჩაშავებულ, დარკინულ ფანჯრებს, ეთამაშებოდა, ეალერსებოდა. მშვენიერი დარი იდგა. ბუნება სცოცხლობდა და მასთან ერთად ადამიანის გულიც ჰხარობდა: რაღაც იმედი ეპარებოდა, ძალ-ღონესა გრძნობდა, საითკენღაც მედგრად მიისწრაფოდა.

ეზო ცარიელი იყო. მხოლოდ ერთი შენობიდან მეორეში ხმლებისა და გასაღებების ჩხარი-ჩხურით შედიოდ-გამოდიოდნენ ციხის ზედამხედველნი. სიარული ჰქონდათ ამაყი, ნაბიჯი დინჯი, სახე მრისხანე, გამოხედვა დაკვირვებული.

ამგვარი სიარული, სახე და შეხედვა მინახავს ცირკებსა და ბალაგანებში მოსამსახურეთა სახეზე, რომელნიც დადიან გამომწყვდეულ მხეცთა გალიების წინ და გულ-გრილად, ამაყად შესცქერიან მათ და ხშირადაც მიფიქრია: ნეტა რა სახეს მიიღებს ეს გამარჯვებული ადამიანი, დამონებულმა მხეცობამ რაიმე მანქანებით გალიები რომ გამოამტვრიოს და თავი თავისუფლად იგრძნოს—მეთქი?!

ციხეში სიჩუმე მეფობდა. ფანჯრებში მოსჩანდა ტუსაღთა ფერ-მიხდილი სახეები, რომლებიც ხმა-ამოუღებლივ, შორით გასცქეროდნენ მზიან ეზოს.

— Выводи десятую камеру на дворъ!— დაიყვირა ამ დროს ზედამხედველმა.

ციხე ახმაურდა. გაიღო სადღაც კარები და ციხის მესამე სართულიდან კიბეზე ტუსაღები ერთი-ერთმანეთს ჩხარა-ჩხურით დაედევნენ. ერთი წამი და ეზო აივსო დაბორკილ ტუსაღებით.

აქ იყვნენ სხვადასხვა ტანისა და წლოვანებისა: მაღლებიც, დაბლებიც, გამხდრებიც, მსუქნებიც, წვერ-ულვაშიანიც, პირ-მოპარსულებიც, მოხუცებულებიც და ყმაწვილებიც. მაგრამ ყველას ტუსაღის ტანისამოსი ეცვა, ყველას ნახევარზე თავი გადაპარსული ჰქონდა.

ტუსაღები ერთი კუთხიდან მეორემდის ჩქარის ნაბიჯით დადიოდნენ: უნდოდათ დაბუჟებული ტანი აემოძრავებინათ, გაეშალათ და ძალა მოეკრიფნათ. ნახევარი საათი ვადა ჰქონდათ; ამ ნახევარ საათში ყველა სცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ნაბიჯი გადაედგა. იყვნენ იმისთანებიც, რომელთაც დანესტიანებული სხეული მზისთვის მიეფიცხებინათ. ყველა ერთად კი ხარბად ისუნთქავდა სუფთა, თბილ ჰაერს და... გულის ტკივილით გასცქეროდა მაღალ მთებს, ზეცას, სივრცეს.

რა კარგია ახლა, აი, იმ მთაზე მარტოდ-მარტოდ ყოფნა, თუ გინდ მშიერი, მწყურვალიც იყო, მხოლოდ მარტოდ კი—რომ ვერ გრძნობდე სიახლოვეს არც ამ ხმლიან ზედამხედველებისას, არც ნაცრისფერ ტანისამოსიან ამხანაგებისას,—ჰფიქრობდა თითოეული მათგანი.

მათ უნდოდათ მხოლოდ თავისუფლება, თავის თავის ბატონობა, ბლომად ჰაერი და თვალუწვდენელი სივრცე. რას იზამდნენ შემდეგ არ იცოდნენ. შეიძლება მოსწყინდათ კიდეც, მაგრამ დღეს, აი, ამ წუთში, მათ უნდათ მხოლოდ, რაიმე მანქანებით, იმ მთის წვერზე მოჰქცეოდნენ, ერთი საათი თავისუფლად ესუნთქათ წმინდა ჰაერი და მერე თუნდა ეწამებინათ, ჩამოეხრჩოთ!

ეზოს კედლების კუთხეში იდგნენ თოფიანი ჯარის კაცნი და თოფს ზარმაცად დაყრდნობოდნენ. მათი სურვილი არ განირჩეოდა ტუსაღის სურვილისაგან; იგინიც თითქმის ტუსაღები იყვნენ, ერთით კიდეც შენატროდნენ ტუსაღის ბედს.

— რა არის ტუსაღი!—ამბობდნენ ისინი გულში—ზის თავისთვის ოთახში, სჭამს, სვამს, არც სცივა, არც სცხელა; აი, წადი დარაჯად და ორი საათი ყინვაში ან წვიმის ქვეშ იყავი!—ჰფიქრობდნენ და თან ხარბად გასცქეროდნენ სივრცეს; ამათაც სწყუროდათ თავისუფლება, ამათი ნატვრაც შორს, საითკენღაც მიისწრაფის...

აგერა, ერთი მათგანი ქორის თვალებით გასცქერის ტუსაღებს და ნატრობს: ნეტავი ახლა უცბად აჯანყდნენ და გაქცევა დააპირონ, ოჰ!.. მაშინ...—თოფს ხელს უჭერს და წელში იზმორება. მას თვალ-წინ ეხატება გულის მოსაფხანი სურათი: ერთს კონდახით თავს გაუპობს, მეორეს კედლიდან შუბით გადმოაგდებს, მესამეს ტყვიით ალაგზე გააციებს, მეოთხეს... სდგას და გული მისდის, რომ ეს „კატორჟნიკები“ ჰკვიანად არიან და მისი ოცნება ოცნებადვე რჩება.

— Куда лѣзешь?!—ბოხის ხმით, გულ-მოსული უყვირის ის ფიქრებში წასულს, უნებურად მიახლოვებულს ტუსაღს და თოფის კონდახს ხელში იმარჯვებს. ტუსაღი თოფ-ნაკრავივით ჩერდება და მსწრაფლად უკან გამორბის.

ეზოში მიდის ჩასუქებული ციხის უფროსი, სახეზე კმაყოფილება ეტყობა. მიდის გაჰიმული, მოკლე კისერი მოუღერებია, მედიდურად გამოიყურება, სურს, რომ ტუსაღებს გულში მეტი პატივისცემა, მეტი შიში ჩაუნერგოს.

ისინი კი დადიან კუთხიდან კუთხემდე ჩაფიქრებულნი, დაჩაგრულნი, დაბეჩავებულნი და თვალების კრთოლის გამომეტყველებით გეკითხებიან: რად გგონივართ ასეთი საშიშარი, ბოროტი არსება? რად გვჯავრობით, რად გვემტერებით? მეც და თქვენც ორივე ხომ ადამიანები ვართო!

ტუსაღებისა, ზედამხედველებისა და ციხის უფროსის გარდა, ეზოში, რაღაცა მანქანებით, გაჩენილა და არხეინად დადის თეთრი, სუფთა, ჩასუქებული ბატკანი, გოჯის ოდენა რქებით და კოხტად მოყვანილი თავით. მის დამნახველ ტუსაღებს არა-ჩვეულებრივი სიამოვნება აღბეჭდიათ სახეზე, ზოგი პურს აწვდის, ზოგი შაქარს. ყველა კი ეალერსება, ჰკოცნის ცხვარს.

ბატკანი გაძღა პურითა და შაქრით. აღარავის ეკარება. დარბის, დიფუნდრუკობს ბედნიერი, თავისუფალი. ტუსაღებმაც თავი მიანებეს. მხოლოდ არ ეშვება ერთი ახალგაზდა ტუსაღი. აგერ რამდენიმე წამია, დასდევს მას, გაშვერილ ხელში შაქრის ნაჭერი უჭირავს და რაღაცას ეხვეწება. ტუსაღის ყოველ მიახლოვებაზე, ცხვარი გარბის, მაგრამ ის მაინც იმედს არა ჰკარგავს, დასდევს უკან და ეხვეწება.

ის არის ყმაწვილი, 20—22 წლისა, ჩასხმული და შავტანის ბიჭი, ქერა პატარა წვერ-ულვაშით და კეთილის ბავშვური თვალებით. ამხანაგები მას კარგად იცნობენ. ტუსაღი, ზედამხედველი, ციხის უფროსი—ყველა ლექსას უძახის. გვარი მისი არავინ იცის და არც არავინ ჰკითხულობს. ყველას უყვარს ლექსა და ყველა თავის თავს მოვალედა სთვლის გამოელაპარაკოს, გაეხუმროს...

ლექსა პირველი მოჭიდავეა ციხეში და „არტურმის“ პირველი მოთამაშე. ბორკილი არ უშლის ლექსას მოჭიდავეს სარმა გამოჰკრას ან ქამანდაზე გადააგდოს, არ უშლის აგრეთვე ზეზეურად მდგომს კაცს თავზე გადაევლოს. ეს გარემოება ხელს უწყობს ლექსას დანარჩენ ღირსებებს და იგი ცნობილია მთელს ციხეში.

მისი ისტორია ყველამ იცის. ხალისით უამბობს ლექსა ყველას თავის თავგადასავალს.

იგი მეცხვარე იყო, მთის შვილი, მთის ძუძუთი გაზრდილი. ცხვარი, ცხვრის ბინა-ფარეხი და შავთვალა მწყემსი-გოგონა იყო მისი სატრფიალო, საოცნებო საგანი.

გულადი, გამბედავი და ძალ-ღონით სავსე იყო ალექსა თავისუფლების დროს. თავის ძაღლებთან ერთად ბევრჯელ მიუმწყვდევია სადმე კუთხეში გაშმაგებული დათვი და ხელდახელ შეჰბმია. ამგვარ შემთხვევებში იგი არც თოფსა და არც ხანჯალს არა ხმარობდა. მას უყვარდა თავისი გრძელი შვინდის კომბალი, მისი მაგიკური ძალა და მკლავის გასინჯვა. დაჰკრავდა ერთს გაშმაგებულს დათვს თავში, დაჰკრავდა მეორეს, მესამეს—და დათვი გაგორდებოდა ხოლმე.

გაჭირვებაც ბევრი გამოუვლია ლექსას. წვიმა, ქარიშხალი, თოვლი, ღამით ცხვრის ძებნა, ღამის ტეხა, სიცივე,—მაგრამ ის არაფრად იმჩნევდა, შემდეგში სიამოვნებით იგონებდა ამ შავს დღეებს და მზად იყო ყველა ეს ხელმეორედ გამოეცადნა. სცხოვრობდა ლექსა ამგვარად თავის თავისა და ცხოვრების კმაყოფილი, მაგრამ ჩვენი ბედი ჩვენს ხელთ არ არის. წელიწად-ნახევარია, რაც ლექსა ციხეშია კაცის მკვლელობის თაობაზე და დღე-დღეზე 12 წლით „კატორგაში“, სახალინს გაემგზავრება. „ერთხელ ვისხედით მთაში ამხანაგები ცეცხლის პირას,—უამბობდა ხოლმე ლექსა ყველას, ვინც კი მოისურვებდა მის ამბის გაგებას,—პურას ჭამას ვეპირებოდით და ვმასხარაობდით. გავიხედეთ, ჩვენი გეურქა თავს წამოგვადგა. ის იყო ყასაბი და ხშირად ამოდიოდა ხოლმე მთაში ცხვრის სასყიდლად. ზეზე წამოვცვივდით, ძაღლები გავაჩერეთ და სადილზე მივიწვიეთ. იმან ძღვნად მოგვიტანა პატარა ტიკჭორა ღვინო, რამდენიმე პური, დოში და კიტრი. სადილს გემრიელად შევექცით და ღვინოც კარგად ვხუხეთ. ერთი საათის შემდეგ გეურქამ იყიდა ჩვენგან ათი ცხვარი, დაგვითვალა ოცდახუთი მანათი, გაირეკა ცხვარი და წავიდა. ჩვენ დავრჩით და დავიწყეთ ფულის განაწილება, შემდეგ წამოვწექით ხის ძირას და ძილი დავაპირეთ, მაგრამ ერთმა ამხანაგმა აღარ მოგვასვენა. წამდაუწუმ გეურქას ფულის ქისას იგონებდა... ნახეთ, ბიჭებო, რამდენი ფული ჰქონდაო? გაგვიჭირა საქმე, მე მგონი, ათასი თუმანი უნდა ყოფილიყოო.

„დასწყევლოს ღმერთმა ჩვენი ამხანაგის თავი! ყვავივით დაგვჩხავლა და ძილი აღარავის მოგვეკარა. ვიყავი წამოწოლილი და ვფიქრობდი, კარგი იქნება, ის ფული რომ ახლა ჩემი იყოს მეთქი. სულ ხუთი ამხანაგი ვიყავით. ჩვენის ანგარიშით, თითოს ორას-ორასი თუმანი უნდა გვრგებოდა. ეს ფული ჩვენთვის დიდი ფული იყო და, ვინ იცის, იმ დროს ყველა ჩვენთაგანმა ამ ფულით რა კოშკები არ ააშენა. ფიქრებმა გამიტაცეს. მობეზრებული მქონდა ჩემი ძაღლ-უმადური ცხოვრება. ფული კი ხელს გამიხსნიდა.

— ბიჭო, მოდით, დავეწიოთ ტყეში გეურქას გავძარცვოთო—შემომესმა ამხანაგების ჩურჩული და ფიქრები შემეცვალა. გადავხედ-გადმოვხედე ამხანაგებს, შევატყე, რომ ამ აზრს ყველა დაემონებინა. უსიტყვოდ წამოვდექ ფეხზე, კომბალს ხელი წავავლე და გზას დავადექ. ორი-სამი ბიჭიც ამედევნა. ჩვენ ერთმანეთი თვალით გავზომეთ და გეურქას ბედიც გადაწყდა...

ქვევით წერას ავეტანეთ, გონება დაბნეული გვქონდა. გზაში ჩემს ამხანაგებს რომ ვუყურებდი, მეშინოდა, სახე არეული ჰქონდათ და თვალებს გიჟივით აბრიალებდნენ. მალე წამოვეწიეთ უბედურს, დიდი მანძილი ვერ გაევლო, ალბად ცხვრებს გაეწვალებინათ გზაში.

ჩვენს დანახვაზე გეურქა გამხიარულდა, ოხუნჯობა დაიწყო, ჩვენ კი სახეზე ვერ ვუყურებდით. მზე გადიხარა, მთას ამოეფარა, კიდევ ერთი საათი და სოფელშიაც ჩავიდოდით.

ამხანაგები დრო-გამოშვებით ერთმანეთს შევხედავდით, ერთმანეთს რაღაცას ვანიშნებდით, მაგრამ ერთმანეთისა არა გვესმოდა-რა.

შიშმა შემიპყრო, უკან გამობრუნება დავაპირე, მაგრამ თან ამხანაგებისა შემრცხვა, არ მინდოდა მათი სამასხარო გავმხდარიყავ...

უკან ჩამოვრჩი ჩემ ამხანაგებს...

უცბად თავ-გზა ამერია, დავიბენი, თვალთ დამიბნელდა. მახსოვს კი, რომ კომბალი მოვიქნიე, გეურქა პირქვე წაიქცა, შემდეგ გადმობრუნდა... მეორედ მოქნეული კომბალი წაქცეულს შუბლში მოხვდა“.

ამის შემდეგ ლექსა ლაპარაკს მოკლედ მოსჭრიდა ხოლმე:

„მოკლულს აღმოაჩნდა ას სამოცი თუმანი...

◆ ქალაქის გამგეობამ მისწერა ქალაქის ლომბარდის გამგეს, **შემოიტანოს ქალაქის კასაში ყველა სავადო გადასახადი და მოგება წარსულისა და აწინდელ წლისა**, თუნდაც ამ შეტანას ლომბარდის დახურვაც მოჰყვესო.

◆ გუშინ, 15 ივნისს, ქალაქის **თვითმართველობის მოსამსახურეებმა შემდეგი რეზოლიუცია შეიმუშავეს** ევანგულოვის-მიერ მიყენებულ შეურაცხყოფაზე: რადგანაც ხმოსანმა ევანგულოვმა განაცხადა, რომ სიტყვის „დარმოედი“-ს წარმოთქმის დროს აზრად არა მქონია ვისიმე კერძო შეურაცხყოფაო, მოსამსახურეებმა ამ განცხადების შემდეგ თავისი თავი დაკმაყოფილებულად უნდა ჩაჰსთვალოთო.

◆ ფინანსთა სამინისტრო ამ ჟამად იკვლევს საკითხს **შინაურ მრეწველობის დამხმარე ბანკის** დაარსების შესახებ. სამინისტროს განუზრახავს ტფილისშიაც გახსნას ამ ბანკის განყოფილება, საიდანაც გაიცემა სესხი შინაურ მრეწველობის ნაწარმოებზე, სახელოსნოებისა და სხვა ამგვარ დაწესებულებათა დასაარსებლად.

◆ **მოქალაქეთა მოურავის არჩევნები დანიშნულია შაბათს, 18 ივნისს.** კანდიდატად დასახელებულია ს. ა. დანდუროვი. ამავე კრებაზე უნდა ამოირჩიონ ორი წევრი, ნაცვლად მოქალაქეთა მოურავის თანაშემწისა, რომლის თანამდებობაც დღეიდან ისპობა.

◆ ოთხშაბათს, 15 ივნისს დასრულდა **ეგზამენები ტფილისის მიწის-მზომელთა სასწავლებლის მე-3 კლასში.** კურსი დაამთავრა 32 მოწაფემ. მათში 15 რუსია, 5 პოლონელი, 2 ბერძენი, 5 სომეხი და ხუთიც ქართველი: გვანცალაძე ნიკოლოოზ, გვანცალაძე ნოე, მინდორაშვილი, რომანოვი და ჩხაიძე; პარასკევს, 17 ივნისს, კურს-დამთავრებული მოწაფენი ახალქალაქს გაემგზავრებიან საზაფხულო სავარჯიშოდ.

◆ ივლისის გასულს ტფილისში ჩამოვა პეტერბურგის **სასულიერო აკადემიის საბერძნეთისა და საქართველოს საეკლესიო ისტორიის კათედრის ლექტორი**, დოქტორი ფილოსოფიისა **ი. ი. სოკოლოვი.** ბ-ნმა სოკოლოვმა საეკლესიო მუზეუმისა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ბიბლიოთეკაში უნდა გაიცნოს ქართული ძველი ხელთნაწერები, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან პეტერბურგის აკადემიაში დაიწყოს ლექციების კითხვა საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან.

◆ ტფილისის ქართულ **ფილარმონიულ საზოგადოების მმართველობის გარდაწყვეტილებით,** ბ-ნი ზ. ი. ჩხიკვაძე გაიგზავნა ქუთაისის გუბერნიაში ფილარმონიისათვის საჭირო მასალის შესაკრებად და ახალის წევრების შესაძენად. ესევე მმართველობა წელს საქართველოს სხვა დასხვა მხარეს ჰგზავნის მცოდნე კაცებს სიმღერა-გალობის დასაწერად და ქართულ საკრავ იარაღის შესაკრებად. იმედია, ქართველი საზოგადოება ხელს შეუწყობს ამ საქმეს.

◆ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, საღამოს 8 საათზე, **ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის შენობაში დანიშნულია** გაგრძელება იმ კერძო კრებისა, რომელმაც უნდა განიხილოს მოხსენება სათავად-აზნაურო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ.

◆ ქალაქის გამგეობამ მოისმინა ინჟ. კოგნოვიცკის **მოხსენება ხარფუხის სკოლის ასაგებად 17,063 მან. 88 კ. გადადების შესახებ.** გამგეობამ დაადგინა, ეს ფული ისესხონ ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისაგან.

◆ კვირას, 12 ივნისს, საარტისტო საზოგადოების დარბაზში, მოხდა სომხურ დრამატიულ საზოგადოების კრება. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ-ნი შირვანზადე და სეკრეტარად ბ-ნი გარაშეტიანი. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ნახიჩევანში მომხდარ არეულობის მსხვერპლებს. 1904—1905 წლის სეზონის ანგარიშის განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ გასულ სეზონში გაუმართავთ 25 წარმოდგენა. შემოსავალი ყოფილა 11358 მ. 80 კ. და გასავალი 18532 მ. 89 კ., ესე იგი, დეფიციტი ჰქონიათ 7174 მ. 9 კ.; ეს დეფიციტი დაუფარავს ბ-ნ მანთაშევის ნაჩუქარ 5000 მანეთსა და კერძოს წარმოდგენის შემოსავალს. ნაღდი ფული რჩება კასაში 4213 მ. და 39 კ. გარდა ამისა, საზოგადოებას იმედი აქვს მიიღოს ბ-ნ აფრიკიანისაგან დაპირებული 1000 მ.; მომავალ სეზონში საზოგადოებას აზრადა აქვს რამდენიმე წარმოდგენა გამართოს არაქსიანის თეატრშიაც. საკონკურსო კომისიის წევრთა არჩევანი კრებამ სექტემბრისათვის გადასდო.

◆ კუკიის სამისიონერო ეკლესიის მოძღვარი ს. გოროდცევი ამ მოკლე ხანში რუსეთს მიემგზავრება.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა: ეცნობოს ადელხანოვს, თუ რომ არ წარმოადგენს 3,731 მ., რომელიც ხორცის დუქნებიდან წაღებულ ტყავებში ედება ვალად, საჩივარს დავიწყებთო.

◆ „ტფ. ლისტ.“-ს გუშინწინდელ ნომერში ქალაქის იურისკონსულტის თანაშემწეს ბრალსა სდებდნენ არა წესიერ საქციელში. ქალაქის გამგეობამ ქანანოვს შვიდი დღის ვადა დაუდო თავის გასამართლებლად.

პრესსა

„რუს“-ის სიტყვით, მთელს რუსეთში არ მოიძებნება არც ერთი ოლქი და მაზრა, რომელთა მცხოვრებლებმა თავიანთ წამომადგენლებს არ დაავალონ, წადით და საერო წარმომადგენლობაში გაიგეთ, როგორ მოხდა, რომ 12 დეკემბრისა და 18 თებერვლის რესკრიპტებს მთავრობამ კაზაკთა პოლკების მობილიზაციით გასცა პასუხი?

> როგორ მოხდა, რომ შარშან ზაფხულზე, უმაღლესის ბრძანებით, როზგი გაუქმდა, ზამთარსა, გაზაფხულსა და შემოდგომაზე კი ეს როზგი და კაზაკების მათრახები მთელს რუსეთში დასეირნობდნენ, მცხოვრებთ ზურგზე ბოლს ადენდნენ და „ჭკუასა და მორჩილებას“ ასწავლიდნენ!?

თუ ეს ასე მოხდა, ბიუროკრატიამ თვითონვე უნდა გაითხაროს სამარე და შიგ ჩაწვეს, მაგრამ, ვაი თუ

> მომავალმა დეპუტატებმა გამბედაობა ვერ გამოიჩინონ და ბიუროკრატიის თვითნებობას, ძალ-მომრეობას, უკანონობასა და ქურდ-ბაცაცობას ხელი არ ახლონ. ამისთანა დეპუტატები გროშადაც არა ღირან და მათგან ხსნას ტყუილად ნურავინ მოელის.

დიაღაც! „მოწვეულ“ დეპუტატისაგან ვინ რას უნდა მოელოდეს! თუ საერო წარმომადგენლობის მოწვევამდე პრესსისა, სიტყვისა და აგიტაციის თავისუფლება არ გამოცხადდა, წინდაწინვე ცხადია, რომ პლებისციტი რუსეთსაც იმ ნაყოფს მისცემს, რაც საფრანგეთს მისცა 1851 და 1870 წელში. წარმომადგენლები დააკანონებენ არსებულ წესწყობილებას, ბიუროკრატიას ზურგს გაუმაგრებენ და, იქნება, რუსეთი ცოტა უკანაც დასწიონ. ნურავის ექნება იმედი, ვითომ პლებისციტებს რუსეთში სხვა, სასურველი შედეგი მოჰყვეს.

⁂

კაცი-ჭამია „ნოვოე ვრემია“, რომელსაც სიცრუითა, ცილისწამებითა და ლაქუცით ენა გაუცვდა, ბიუროკრატიას ელაქუცება და უღიმის. გონიერ ზომიერებისა და ზომიერ გონიერების მონა იმ სიტყვებში, რომელიც ხელმწიფემ მოსკოვის დეპუტაციას უთხრა, სხვა აზრს ეძებს და ყველას ურჩევს, „თავდაჭერილობა“ გამოიჩინეთო.

> სერიოზულ და ნაყოფიერ შრომისთვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა თავდაჭერილობა და სულის სიმშვიდე, რასაც ხელმწიფეც თხოულობს. რუსეთის ყოველი მოქალაქე (?!) მოვალეა ყოველნაირი ღონე იღონოს და ხალხში მშვიდობიანობა და სიწყნარე ჩამოაგდოს.

ამ სიტყვებს „ნაშა ჟიზნ“-ი შენიშნავს: „ჩვენ მზადა ვართ აღვიაროთ, რომ ბ-ნ სუვორინის ნათქვამში გულწრფელობის აჩრდილი სჩანს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ „ნოვოე ვრემია“ თვითონ გაანებებს თავს საზიზღარსა და უწმაწურ დევნას ებრაელებისას, პოლონელებისას, ქართველებისა და სხ. ჯერჯერობით კი ზემოხსენებული სიტყვები „ნოვოე ვრემია“-ს ისე უხდება, როგორც მოღალატეს ფიცი ერთგულებისა.

ბიერნსტერნე-ბიერნსონის აზრი ნორვეგიის შესახებ.

ნორვეგიაში ამ უკანასკნელ დროს მომხდარ ამბების გამო „Echo de Paris“-ის რედაქცია შეეკითხა ბიერნსტერნე-ბიერნსონს და მისგან შემდეგი პასუხი მიიღო: „შესაძლებელია — სწერს ნორვეგიის გამოჩენილი მწერალი, — რომ იმ საშუალებას, რომელსაც ნორვეგია მიჰმართა, ბევრი თანაგრძნობით არ მოეკიდოს, მაგრამ მე საკითხს ამ მხრივ არ გავარჩევ, რადგანაც, ჩემის აზრით, ეს კავშირის გაწყვეტა ორთავე ქვეყნისთვის სასარგებლოა. მართალია, შვეცია წინააღმდეგია ამგვარის აზრისა, მაგრამ ცხოვრება ადამიანზე ძლიერია. უნიის წინააღმდეგ ბრძოლა 1827 წელს დაიწყო და საბაბი ინგლისმა მისცა. აი, საქმე როგორ იყო: ქ. ბოდეს ინგლისის ერთი სავაჭრო სახლი კონტრაბანდაში დაიჭირეს. ყალბის დოკუმენტების წყალობით, ინგლისის კომერსანტებმა თავიანთი გარეშე საქმეთა სამინისტრო დაარწმუნეს, ნორვეგიელები სტყუიანო, და შვეციის მინისტრმაც ინგლისელებს მხარი დაუჭირა. ნორვეგიას კონტრაბანდისტებისათვის ზარალი უნდა ეზღო. თუმცა ნორვეგია ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმა, მაგრამ იმ დაუდევრობამ, რომელიც შვეციის მინისტრმა გამოიჩინა ნორვეგიის ინტერესებისადმი, საშინლად აღელვა ნორვეგიის ხალხი. სწორედ ამ დროს დაიბადა ის აზრი, რომ თავისი გარეშე საქმეების გამგეობაც თვითონვე ჩაეგდო ხელში და, აი, უკვე, დიდი ხანია, ნორვეგიელთა უმრავლესობამ ააფრიალა დროშა შემდეგის დევიზით: „უნიასთან ერთად ან სრული დამოუკიდებლობა და ან კავშირის სრული გაწყვეტაო“. მაგრამ გარემოება ისე ეწყობოდა, რომ მალე ხალხში გავრცელდა რწმენა: „ჩვენ თავის დღეში ვერ მოვიპოვებთ სრულს დამოუკიდებლობას, თუ უნია ისევ დარჩება, და ამიტომ უნია უნდა დაირღვესო“.

თუმცა კარგი საშუალება ვერ ამოირჩიეს, მაგრამ, რახან ნორვეგია ჩამოშორდა, ჩვენ უნდა დავიცვათ კიდეც იგი. კონსტიტუციის ძალით, სტორტინგს ნება აქვს ეკზების შესახებ საკითხი განსახილველად წამოაყენოს. ამ კანონმა საერთო თანაგრძნობა გამოიწვია და ყველამ ერთხმად მიიღო.

ნორვეგიის ერი, — განაგრძობს ბიერნსონი, — რესპუბლიკანურ აზრებით არის გატაცებული, მაგრამ ოსკარის პატივსაცემლად ნორვეგიის მეფობა ერთ-ერთ მის შვილთაგანს სთხოვა. თუ ოსკარი ნორვეგიის თხოვნას არ შეუსრულებს, მაშინ ჩვენ იმავე თხოვნით ან დანიას მივმართავთ, ან რესპუბლიკას გამოვაცხადებთ. ნორვეგია რევოლუციაზე არა ფიქრობს, ის ომის წინააღმდეგია, მოწადინებულია საქმე მშვიდობიანად დაბოლოვოს. და თუ ეს ასრულდა და ნორვეგია და შვეცია, ისე როგორც დანია, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გახდნენ, მაშინ მათ შორის დამყარდება ისეთი ურთიერთობა, რომელიც სამივე სახელმწიფოს სრულს ერთობასა და კეთილ-განწყობილებამდე მიიყვანს“...

რევოლუცია უნგრეთში

ბუდაპეშტიდან მოსული გუშინდელი დეპეშა იუწყება, რომ ხალხისა და მეფის სურვილთა შეჯახებას მოსალოდნელი ბოლო მოჰყვა: უნგრეთის დეპუტატთა პალატამ იძულებულ ჰყო, „კონფლიქტის კაბინეთი“ სამსახურიდან გადამდგარიყო და მინისტრ-პრეზიდენტს ფეიერვარის მეფის მეორე რესკრიპტის წაკითხვის ნება არ მისცა. ამ რესკრიპტით მეფეს 2 სექტემბრისათვის სურდა კრების გადადება. შემდეგ, როდესაც ფრანც კოშუტის წინადადებით, კრებამ მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა და რესკრიპტი მორიგ საქმეთა შორის წაიკითხა, ბარონ ბანფის წინადადებით, პალატამ არამც თუ ერთხმად დაჰგმო რესკრიპტი და არა-კონსტიტუციურად იცნო იგი, არამედ ისიც კი გადასწყვიტა, რომ საერთო სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის ზოგიერთ მუხლებზე უნგრეთმა უარი განაცხადოს და მუნიციპალიტეტებს განუცხადოს, უნგრეთის მთავრობის შეუმოწმებლად ნურა ხარჯს ნუ გაიღებთ და პალატის უდასტუროდ ნურც ახალ ჯარის კაცებს გაიყვანთო.

ეს პირველი ნაბიჯია უნგრეთის ხალხის [illegible] მონარქთან შებრძოლებისა, იმ მეფესთან, რომელსაც ხალხის მოთხოვნილებანი კანონიერად არ მიაჩნია და, ნორვეგიაში მომხდარ ამბების მიუხედავად, თავის ქვეყანას რევოლუციის უფსკრულისაკენ მიაქანებს. ჩვენ, რასაკვირველია, ვერ ვიწინასწარმეტყველებთ, რომ ფრანც-იოსებსაც ასეთივე შეტაკება მოუვა უნგრელებთან, მაგრამ, თუ ასე მოხდა, მეფე ვერ მოასერხებს, შინაურ განხეთქილებით დასუსტებული ავსტრიის სამხედროს და ჯარითაც და ფინანსებითაც უფრო ძლიერის უნგრეთის წინააღმდეგ ომში ჩაითრიოს.

დღევანდელი გაზეთები იშვიათის თანხმობით და ერთსულოვნობით მხარს უჭერენ უნგრეთის წარმომადგენელთა მისწრაფებას ამ საქმეში. არამც თუ უნგრეთის პარლამენტის მოღვაწენი, თვით უნგრეთის ხალხი დიდის ხალისით და ენერგიით აცხადებენ, მოხუცებულ მონარქის ჯიუტობას ბოლომდე ვებრძოლებითო.

როგორი ხასიათიც უნდა მიიღოს აწინდელმა უნგრეთის რევოლუციონურმა მოძრაობამ, იგი ძალიან მალე გაახსენებს ფრანც-იოსებს იმ ,,ოქროს სიტყვებს'', რომელიც გამბეტამ გამოსთქვა: როდესაც ერი ხმას აღიმაღლებს, ქვეყნის მმართველნი ხმას აცნობებს მოხარქს, ან უნდა დაემორჩილნენ, ან არა და სამსახურიდან გადადგნენო (ნ. ჟ.).

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებანი რუსეთში

1904 წლის დამლევს კიევში „წ. კ. გამ. საზოგადოებას“ კრება ჰქონდა. ლ. ს. ლიჩკოვმა მოხსენება წაიკითხა. სახალხო განათლების ურიცხვი დამაბრკოლებელი, და შემაფერხებელი მიზეზები აღნიშნა მან. ადმინისტრაცია მეტად უდიერად და ალვირ-წახსნილად გვეღობება საქმეში.

ეს მოხსენება მაშინ, სხვადასხვა მიზეზებისა გამო, მოხსენებად დარჩა და მხოლოდ წელს, 26 აპრილის სხდომაზე, განიხილეს. მოხსენების შინაარსი მოკლედ მოგვყავს: ჩვენის ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა უკიდურესია: სიღარიბე, სიმწარე, სიდუხჭირე, უვიცობა და აბრუ-გატეხილი, შერცხვენილ-გათახსირებული მთავრობა, დამონებული, უფლება-აყრილი ხალხი, გაბატონებული და თავზე ხელ-აღებული ადმინისტრაცია... საკვირაო სკოლების მოუწყობლობა და ვიწრო ფარგალში ჩაყენება... სამკითხველო-წიგნთ-საცავების უსუსურობა და კატალოგის შეკვეცა... სახალხო კითხვების მოსპობა და შეჩერება... რიგიან მოღვაწეთა განდევნა ამ ასპარეზიდან და სხ.

ერთის სიტყვით, წერა-კით. საზოგადოებას სრული შეფერხება დ უსაქმურობა ხვდა წილად... ამისთვის საჭიროა, რომ ამ საზოგადოებასაც მეტი უფლება დ მოქმედების ინიციატივა მიენიჭოს: მასწავლებელი მოხელედ არ უნდა იყოს გადაქცეული; მას უნდა ჩამოეცალოს პოლიციურ მეთვალყურის მოვალეობა და სხ. საქმის სიდუხჭირე სოფლად უფრო მოდებული, რადგან სოფელი ისე არსად არის სკოლას მოწყვეტილი, როგორც ჩვენს ქვეყანაში. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მხოლოდ $1/3$ შეუძლია სწავლა. აუარებელი უმეტესობა კი სრულიად მოწყვეტილია სკოლას...

მოსკოვის მასწავლებელთა საზოგადოებამ, ამ საკითხის შესახებ, შემდეგი რეზოლუცია შეიმუშავა:

„დღევანდელს პირობებში, სამოსწავლო უწყება ყოველის ღონით სცდილობს განათლების შეფერხებას ჩვენს ქვეყანაში:

ამ პოლიტიკას სხვადასხვა გვარად გამოხატავს იგი: 1) საზოგადოების შუამდგომლობა და განცხადება ყოველთვის შეუწყნარებელი და უარყოფილია. 2) განკარგულებითა და კანონებით ზღუდავს სწავლაზე გადადებულს თანხას. 3) სკოლის შემხუთავს ცირკულიარებსა და განკარგულებებსა სთხზავს, რომელიც კანონსაც არ ეთანხმება. 4) სამაგალითო პროგრამების შემოღება და სკოლის ვიწრო ფარგალში ჩაყენება, მასწავლებლის შეზღუდვა და თავისუფალ ინიციატივის მოსპობა. 5) ცხადი მიკედლება და უპირატესობის მინიჭება სამრევლო სკოლებისა, რომლებიც სკოლის უფრო მდარე ტიპს წარმოადგენს. 6) დაბალ, საშუალო და უმაღლეს სასტატო სასწავლებლის დაარსება, რითაც მასწავლებელს სრულიად ესპობა პიროვნების ელემენტალური უფლებაც კი. 7) ერთბაშად დათხოვნა მასწავლებლებისა რომელისამე სასწავლებლიდან, 8) პოლიციური მოვალეობის დაკისრება მასწავლებელთათვის. 9) არა-რუსთა სკოლებიდან სამშობლო ენისა და სინიდისის დევნა და სკოლაში არა-მართლმადიდებელ ბავშვთა მიუღებლობა. 10) დევნა და გაუქმება წ. კ. გამ. საზოგადოებათა, და სხ.

ყველა ეს უკუღმართობა ეწინააღმდეგება საღსა და ცხოველმყოფელს სკოლას. ამისათვის კრებას საჭიროდ მიაჩნია: 1) ყოველ მსურველს, კანონის წინაშე პასუხის-მგებლობით, ნება მიენიჭოს გახსნას სკოლა, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, ჰმართოს სახალხო ლექციები და კითხვები, 2) სკოლების ყოველგვარი კონტროლი ადმინისტრაციის მხრივ მოისპოს. 3) პროგრამის შემუშავება, შეცვლა და განხორციელება, სასწავლო გეგმებისა თუ სახელმძღვანელოების არჩევა დამაარსებელთა სრულს ნება-ყოფლობაზე უნდა იყოს მინდობილი. 4) ქალ-ვაჟთა აღზრდა და სწავლა ერთად უნდა სწარმოებდეს. 5) სწავლა ყველასთვის ხელმისაწდომი უნდა გახდეს. 6) უნდა მოისპოს ყოველგვარი გამოცდა, დიპლომები და ატესტატები...

ამასთანავე კრება აცხადებს, რომ ხალხის განათლება მხოლოდ მაშინ დადგება მკვიდრსა და ნამდვილს ნიადაგზე, როდესაც უზრუნველ-ყოფილი

ფულს გარდა წამოიღეთ ქამარ-ხანჯალი და რევოლვერი, და სწორედ ამ გარემოებამ დაგვღუპა ყველანი. მოკლული იპოვნეს ერთი კვირის შემდეგ. გავიდა კიდევ ორი კვირა და ეს საქმე მისწყდა, მაგრამ ერთ დღეს სოფლის პატარა მწყემსებს დაენახათ გეურქას ვერცხლის ქამარ-ხანჯალი და ორი დღის შემდეგ პოლიცია თავს დაგვესხა. ჩემი ამხანაგები უკვე გაგზავნეს სახალინს და ახლა მეც მივდივარ“, — ნაღვლიანად დააბოლოვებდა ხოლმე ლექსა თავის ამბავს.

— ფული რა უყავით, ფული? — ეკითხებოდნენ ლექსას ტუსაღები.

— ფული ერთის ხის ძირში ბოთლით დავმარხე, ისე რომ ჩემს მეტმა არავინ იცის ის ადგილი!..

— მერე?

— მერე... ახლაც იქ არის! — ამოხვრით ამბობდა ლექსა.

— ახლა რომ წახვიდე, მიაგნებ?

— როგორ არ მივაგნებ! — გაცოცხლდებოდა ხოლმე ლექსა ამ სიტყვებზე და თვალები გაუბრწყინდებოდა. ვინ იცის, ლექსა ახლაც ოცნებობს, რომ ოდესმე სახლში დაბრუნდება, ამ ფულებს იპოვნის და უზრუნველ ცხოვრებას მიჰყოფს ხელს!..

—

როგორც იყო, ლექსამ ბატკნის ყურადღება, მიიქცია, ცხვარმა თავი უკან მოიღო შაქრის ნატეხი დაინახა და შემოტრიალდა. ლექსამ პირთან მიუტანა შაქარი, უკან-უკან წავიდა და ერთს ქვაზე ჩამოჯდა. ცხვარი მიუახლოვდა და კალთაში თავი ჩაუდო.

ლექსა და ბატკანი ათიოდე წუთს ამ მდგომარეობაში იყვნენ. ბატკანი აღარ შორდებოდა, თითქო რქებს იფხანსო, თავს გვერდელად ხან სად დაატაკებდა ნაზად, ხან სად და სიამოვნებით იქიმებოდა.

ტუსაღებმა შეამჩნიეს ისინი, მათ ახლოს მთელი ჯგუფი გაჩნდა და ოხუნჯობა დაიწყო.

— ჰა, ლექსა, მოგაგონდა მთები?

— შეხედე ერთი, როგორ ეთამაშება, მე კი სათოფედ არ მამეკარება ხოლმე.

— ბავშვის ენა დედამ იცისო. ალბად მაგის ენაზე ელაპარაკება...

— არ გინდა, ლექსა, ა ის ზედამხედველები ცხვრებად აქცია, და, აი, იმ მთაზე ამოგაყოფინა თავი?

— ნაჩალნიკი კიდევ შენ „თოლიად“! — დაუმატა მეორემ. ტუსაღებში თავდაჭერილი სიცილი გაისმა.

ლექსა კი სდუმდა და ამხანაგებს, ჩვეულებრივ, ოხუნჯობითვე არ უპასუხებდა.

ბოლოს ტუსაღები ჩააკვირდნენ მის სახეს და ოხუნჯობა უცბად შესწყდა.

ლექსა ციხეში აღარ იყო, ვერ ხედავდა ვერც მაღალ კედლებს, ვერც ამხანაგებს, — ის წასულიყო შორს, შორს. კეთილი, ლამაზი თვალები ამღვრეოდა, სახეზე ჩუმი ტანჯვა აღბეჭდოდა, ლოყაზე ერთი-ერთმანეთზე ერთხელვე გაკეთებულ სველს ზოლზე მსხვილი ცრემლები ჩამოსდიოდა, ტუჩებზე საცოდავი ღიმილი შეჰხმობოდა, თავი ჩაეღუნა, ცხვარს რქებს შუა ჰფხანდა და მიწაში ერთს წერტილს უყურებდა.

ტუსაღებსაც თავი ჩაექინდრათ და სამარისებურ სიჩუმით ლექსას შეჰყურებდნენ.

— Заходи въ камеры! — ეს მესამედ დაიბარა ზედამხედველმა, მაგრამ ტუსაღების ჯგუფს ეს სიტყვები არ გაუგონიათ.

— Заходи въ камеры, черти! — დაიღრიალა ზედამხედველმა და ჯგუფს მივარდა. ჯგუფი გაფრთხა, შეინძრა და დაიშალა.

ლექსა კი ისევ ისე იჯდა.

— არ გესმის?!, შეჰყვირა ზედამხედველმა და ლექსას ფერდში ხმალი წაჰკრა, ბატკანი კი ფეხით შორს გადასტყორცნა.

ლექსამ მას საცოდავის სახით შეჰხედა, წამოდგა ფეხზე და თავ-ჩაღუნულმა კიბისკენ გასწია.

— Ишь, нашелъ игрушку! — არ ისვენებდა გაბოროტებული ზედამხედველი და თან ტუსაღს ლანძავდა...

სვ. ყიფიანი.

იტალიის წარსულიდან

ჯუზეპე მაძინი.

„ადამიანი, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიძღვის სამშობლოს წინაშე, რომელმაც ხალხის განთავისუფლებას თავის სიცოცხლეც შესწირა... ადამიანი, რომელიც საერთო ძილის დროს ფხიზლობდა, რომელიც ყოველთვის იბრძოდა სამშობლოსათვის, რომელსაც ენატრებოდა თავისუფლება... ეს იყო მაძინი“.

ასე ახასიათებდა თავის მოძმეს იტალიის უდიდესი მამულიშვილი, გარიბალდი.

მართლაც, ჯუზეპე მაძინი შესანიშნავი ადამიანი ყოფილა. ძლიერი აგიტატორი, იგი თავისი წარმტაცი სიტყვით საბრძოლველად ამხედრებდა დიდსა და პატარას, თავისუფლების სურვილს უღვიძებდა გულში იმათაც, ვისაც წინად მხოლოდ საკუთარი თავი-ღა ახსოვდა... თვითონ მებრძოლი სხვასაც აჩვევდა ბრძოლას.

1831 წლის რევოლუცია უნაყოფო შეიქმნა და იტალიელთა მოწინავე ჯგუფებმაც გადასწყვიტეს, რომ მიზნის მიღწევა უწინდელ საშუალებით არ შეიძლება. უწინ თუ ცდილობდნენ მოწინავე ელემენტების შეერთებას ბრძოლისთვის, ახლა ხალხის უმრავლესობას მიმართეს.

ამ მიმართულების სულის ჩამდგმელი იყო ჯუზეპე მაძინი.

მაძინიმ თავისი მოღვაწეობა სალიტერატურო კრიტიკოსობით დაიწყო. „მწერლობა, — ამბობდა ჯერ კიდევ ახალგაზდა მაძინი, — ვალდებულია ხალხის ყოველსავე მისწრაფებას სათავეში ჩაუდგეს, მწერლობას საპოლიტიკო პროპაგანდის ხასიათი უნდა მიეცეს უთუოდ. ბრძოლა მტარვალობასთან, ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად, — ეს არის უდიდესი მიზანი, რომელსაც ემსახურება ყველა ადამიანი, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს მწერლობაც!“

მაგრამ მალე დარწმუნდა მაძინი, რომ მარტოოდენ მწერლობით არ შეიძლება მიზნის მიღწევა, რომ საჭიროა აშკარა ბრძოლა, სისხლის ღვრა და ძალით, იარაღით თავისუფალ ცხოვრების მიღწევაც.

როდესაც მთავრობამ ორივე გაზეთი აკრძალა, რომელშიაც თანამშრომლობდა მაძინი, მან დროებით დაანება თავი მწერლობას და სარევოლუციო წრეებს დაუახლოვდა.

იმ დროის განმათავისუფლებელ მოძრაობას უდგა თავში კარბონარიების საზოგადოება, რომლის წყობილება, დემოკრატიულ პრინციპს მოკლებული, ხალხის ცხოვრებას დაშორებული, არ მოეწონა ახალგაზდა მაძინის.

,,შეთქმულობა, — ამბობდა მაძინი, — უნდა იყოს საერთო; განთავისუფლება უნდა მოენატროს ხალხის უმეტესობას და არა მის მოწინავე ელემენტებს; ხალხის განთავისუფლება თვით ხალხის საქმეა, ხალხმა უნდა იგრძნოს უღლის სიმძიმე, უნდა მოისურვოს ბორკილის დამსხვრევა და ერთხმად უნდა დასძახოს: „თავისუფლება!“ უამისოდ მისი თავისუფლება არ იქმნება ნამდვილი‘‘.

მართლაც, მაძინიმ დაიწყო იტალიის სხვადასხვა კუთხეში აგიტაცია. ძველმა თაობამ თავისი საქმე უკვე შეასრულა, ახლა დაგვითმოს ადგილი ახალგაზდობას; რევოლუციის სათავეში უნდა დადგეს ამ საქმით გატაცებული, ჯერ კიდევ გულ-გაუტეხელი, მოიმედე ახალგაზდობა. დეე, აქა-იქ მოუვიდეთ ახალგაზდებს რამე შეცდომა გამოუცდელობით ან გატაცებით, — ნუ გაჰკიცხავთ, პირიქით, გაამხნევეთ, მიეცით მომავლის იმედი, გაამხნევეთ საშინელ ბრძოლისთვის. რა არის ჩვენი სიცოცხლე, თავი თუ არ შევწირეთ ბრძოლას, თუ არ დავღვარეთ სისხლი თავისუფლების მოსაპოვებლად‘‘?

„ახალ საქმეს ახალი კაცები სჭირია‘‘, — ამბობდა მაძინი და ამიტომ მან მისგან შექმნილ ახალ ორგანიზაციას 1831 წ. დაარქვა სახელად: „ახალგაზრდა იტალია“.

ამავე სათაურით მან გამოსცა ახალი გაზეთიც. მე არც ერთი უკვე არსებული სარწმუნოება არა მრწამს, — სწერდა მაძინი, — მრწამს მხოლოდ, რომ კაცობრიობა განვითარებას ადგია მუდამ... მრწამს, რომ ადამიანმა თავის მოქმედებაში ყოველთვის წინ უნდა წაიმძღვაროს საზოგადო იდეალი, საერთო კეთილდღეობის სურვილი... უდიდესი თვისება, რომელიც ღვივის ადამიანის გულში, არის თავისუფლების სურვილი, ამიტომ თავისუფლების მოსაპოვებლად ბრძოლა ზნეობრივ მოვალეობად უნდა ჩაითვალოსო“.

„ახალგაზდა იტალიამ“ დაისახა იდეალად: „უცხოელების განდევნა, ეროვნულ იტალიის შექმნა, დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარება იტალიაში“. სახელმწიფოს უნდა ჰქონდესო მიზნად ხალხის, ხალხის უმეტესობის კეთილდღეობა.

,,გაანთავისუფლეთო ადამიანის გონება! — იძახდა მაძინი, — წინ! ხალხის საკეთილდღეოდ, თავისუფლების მოსაპოვებლად“.

თავისუფლება უნდა დამყარდეს ყველგანო, ყველგან უნდა შემოვიდეს დემოკრატიული წყობილებაო და ყველა ერი, ამნაირ რესპუბლიკებად მოწყობილი, უნდა შეერთდეს საერთო ფედერაციად. საჭიროა მხოლოდ, რომ ყოველი ეროვნება, ყოველი ეროვნული ერთეული ცალკე მოეწყოს, თავისუფალი და დამოუკიდებელი შეიქმნეს.

მაძინი სულითა და გულით დემოკრატი იყო და მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ხალხის ძლიერებას შეუძლია ყოველისავე საწინააღმდეგო ძალის მოსპობა. „მხოლოდ იარაღის იმედი უნდა გვქონდესო, მხოლოდ ხალხის იმედით უნდა დავიწყოთ საქმე. ნამდვილი თავისუფლება ჯერ არავის მიუღია სხვისგან წყალობის სახით, ნაჩუქარი, ნაბოძები, ნაწყალობევი თავისუფლება არ არის მტკიცე. ადვილად მიღებული ადვილადვე დაიკარგება! არა! ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა საშინელი, თავგანწირული“!

იტალიის მაშინდელმა მთავრობამ განდევნა მაძინი, — ვერც სხვა სახელმწიფოებში შეიფარა თავი თავისუფლების მებრძოლმა და მხოლოდ ინგლისში მოახერხა ცხოვრება, ინგლისში, სადაც ადამიანს მის საპოლიტიკო რწმენისთვის არა სდევნიან სრულებით.

აქ სხვადასხვა გაზეთებს სცემდა, სხვადასხვა ორგანიზაციებს მეთაურობდა და ამ ორგანიზაციებით იბრძოდა თვითმპყრობელ მთავრობის წინააღმდეგ მთელს ევროპაში.

„წავაწეროთ ჩვენს დროშაზე სიტყვები“ „თავისუფლება, ეროვნული ერთობა, დამოუკიდებლობა! გამოვაცხადოთ აზრის თავისუფლება, აღვადგინოთ ხალხის უფლება!.. დაგვითმოს ახლავე მთავრობამ, ნებით ჩამოგვშორდეს, თორემ მერე გვიან-ღა იქმნება, როდესაც მოთმინების ძარღვი გაწყდება ხალხში, როდესაც ხალხი მიჰმართავს ძალას და ძალით ჩამოიშორებს მტარვალებს“.

1860 წ., როდესაც გარიბალდის მეთაურობით ამხედრდა ხალხი, მაძინი ერთის რაზმით რომისაკენ წავიდა, სადაც მას წინ დაუხვდა მეფის ჯარები. აღელვებული მაძინი ამის შესახებ სწერდა: „იცოდეთ, რომ არ შევდრკებით და არ დაგითმობთ! ძალა ჩვენკენ არის, გადაწყვეტილი გვაქვს ყველას: გამარჯვება, ან სიკვდილი. ხალხი ამხედრდა. ხალხი ჩვენთან ერთად ეროვნულ თავისუფლებას, ეროვნულ განათლებას მოითხოვს, ამიტომ იცოდეთ, რომ ჩვენი დამარცხება არ შეუძლია არავის“!

მთავრობას კონსტიტუციის შემოღების შემდეგაც ისე ეშინოდა მაძინისა, რომ სამშობლოში დაბრუნების უფლებას უსპობდა. მხოლოდ შემდეგში ხალხმა მოითხოვა მისი დაბრუნება და მთავრობაც იძულებული შეიქმნა დაეთმო ხალხისთვის.

მაგრამ მას არ დასცალდა სამშობლოში ცხოვრება. 1872 წელს, იტალიაში დაბრუნების დროს, გზაზე გაცივდა და გარდაიცვალა. ხალხმა დიდის ამბით დაასაფლავა თავისი ბელადი, რომელიც ყოველთვის ამბობდა: უნდა დავამტკიცოთ, რომ ძალისა არ გვეშინიან. სიმართლე ჩვენია და სიმართლის გულისთვის თავს დავდებთ, სიცოცხლეს შევწირავთ. ჩვენ არ გვინდა მონობაში სიცოცხლე, არ გვინდა დამორჩილება, არა, ვიბრძოლოთ და ბრძოლით მოვიპოვოთ თავისუფლება!

იქნება ყოველი ადამიანის მოქალაქობრივი უფლება და დამყარდება დემოკრატიული მართვა-გამგეობა (ს. ო.).

რუსეთი

მრავალი გიმნაზია-დამთავრებული თხოულობს პეტერბურგის უნივერსიტეტში შესვლის ნებართვას უნივერსიტეტის **ადმინისტრაცია უმთავრეს ყურადღებას იმას აქცევს**, რომ მომავალი სტუდენტები პოლიტიკურად კრავები იყვნენ (რ.).

◆ „პრავ. ვესტ."-ის სიტყვით, პეტრე-პავლეს ციხის მახლობლად შენდება ახალი **აკლდამა რუსეთის სამეფო საგვარეულოსთვის**. აკლდამა 1 მილიონ მანათად დაჯდება (პ. ვ.).

◆ დვინსკის სამხედრო სასამართლომ **ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა** ხელოსანს მანკოვსკის, რომელსაც დვინსკის პოლიცმეისტრის თანაშემწის მოკვლა უნდოდა. მანკოვსკის რევოლვერი და ისეთი ტყვია უპოვნეს, რომლითაც პოლიცმეისტრის თანაშემწე იყო დაჭრილი (ნ.).

◆ იმავე სასამართლომ **ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა** დეიჩს, რომელსაც ბოქაულის მოკვლა უნდოდა. მეორე, მესამე და მეოთხე დღეს დეიჩი 8,000-მა კაცმა ინახულა. დეიჩის გამბედაობა ყველას აკვირვებს. დეიჩი ამბობს: ერიომინმა ისე მცემა, რომ ფილტვები დამიშავა. პირიდან სისხლი მომდის. ვიფიქრე, სულ ერთია, დღეს თუ ხვალ, უნდა მოვკვდე და, მოდი, საზოგადოების ყურადღებას მივაქცევ დაპატიმრებულთა მდგომარეობას. მეც ავიღე და ვესროლე (რ.).

◆ 7 ივნისს ვიბორგის (ფინლიანდიაში) სასამართლომ განიხილა საქმე რეინიკისა, რომელმაც **ვიბორგის გუბერნატორი მიასოედოვი ორ ადგილას დაჭრა** ტყვიით. სასამართლოს დადგენილებაში ნათქვამია: „რადგან ბრალდებული რეინიკი დარწმუნდა, რომ გუბერნატორი მიასოედოვი თავის უკანონობით სტანჯავს და უბედურებას აყენებს ფინლიანდიელებს და, თუ გუბერნატორად დარჩა, მომავალშიაც მიაყენებს, ამიტომ რეინიკმა მისი მოკვლა გადასწყვიტა. სასამართლო დარწმუნებულია, რომ რეინიკმა ეს ბოროტ-მოქმედება პირად ინტერესებისათვის არ ჩაიდინა, და გადასწყვიტა. რეინიკი 2 წლითა და 2 თვით იქმნას დაპატიმრებული და მოქალაქობრივი ნდობა მოესპოს".

ამავე სასამართლომ ამავე დროს გაარჩია საქმე პროკოპესი და რისანენისა, რომელთაც იცოდნენ, რომ რეინიკს გუბერნატორის მოკვლა უნდოდა და მთავრობას არ შეატყობინეს. სასამართლომ ორივენი გაამართლა. ხალხმა გამართლებულნი ხელში აიყვანა და სასამართლოდან სახლამდის ასე მიიყვანა (რ. ვ.).

◆ ბრესტ-ლიტოვსკში 2 ივნისს სალდათებმა ებრაელები აიკლეს და დასჭრეს და მოკლეს 60-მდე კაცი. 7 ივნისს **სალდათებს ხელმეორედ აუკლიათ ებრაელები** და მოუკლავთ და დაუჭრიათ 12 კაცი (ნ.).

◆ 9 ივნისს ლიბავის საპატიმროში პატიმრები აჯანყდნენ და იქაურობა სულ მილეწ-მოლეწეს. გარედ ხალხი იდგა და პატიმრებს დახმარებას უწევდა: ფანჯრებიდან ქვებსა და ჯოხებს აწოდებდა. **დაჭრილი ბევრია** (ნ. დ.).

◆ იმავე ქალაქში ხალხმა 12 სარისკიპო **აიკლო** (ნ. დ.).

◆ 10 ივნისს ლოძში ჟანდარმთა როტმისტრს ანდრეევს რამდენჯერმე **ესროლეს რევოლვერი**. ანდრეევი გადარჩა. მკვლელი მიიმალა. (ნ. დ.).

◆ ადესის სამხედრო სასამართლომ **ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა** დუბინსკის, რომელმაც ბოქაული ოლშევსკი დასჭრა. (პ. ს.).

◆ იმავე სასამართლომ **ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა** შტილმანს, რომელმაც პოლიცმეისტერი დაჭრა. შტილმანს შემდეგ ეს სასჯელი შეუმცირეს და უვადო კატორღაში გაგზავნა გადაუწყვიტეს (რ. ს.).

◆ სოფელ იურევიჩაში—ჟიტომირის გუბერნიაში—9 ივნისს რუსებმა **ებრაელები აიკლეს**. დასჭრილი და მოკლული ბევრია. გაძარცვეს 20-მდე სახლი (პ. ს.).

◆ 9 ივნისს ვარშავაში, წირვის დროს, დიდი **არეულობა მომხდარა**. კაზაკებმა დასჭრეს და დაასახიჩრეს 20 კაცი (პ. ს.).

◆ რუსეთის შესახებ ინგლისური გაზეთები —„ტაიმს"-ი, „დეილი ნიუს"-ი და „სტანდარტ"-ი სწერენ: დარწმუნებული ვართ, რომ საერო წარმომადგენელნი ომს ბოლოს მოუღებენ და მშვიდობიანობას დაამყარებენო. მაგრამ, თუ წინდაწინვე **პრესსისა, სიტყვისა და აგიტაციის** თავისუფლება არ გამოცხადდა, წარმომადგენლობიდან არაფერი გამოვა და რუსეთი ისევ გაუნათლებელი დევი დარჩება როგორიც დღევანდლამდე იყოო (რ.).

◆ ფინანსთა სამინისტრომ გადასწყვიტა, ახალი **შინაური სესხი** გამოსცეს. ამჟამად სამინისტრო სხვადასხვა ბანკებს ეკითხება, რამდენ მანათის მოცემა შეგიძლიანთო (ნ. დ.).

◆ რუსეთის ვექილთა საბჭოებმა გადასწყვიტეს, **არ მივიღოთ** ჩვენს კორპორაციაში ის სტუდენტები, რომელნიც შემოდგომაზე ეგზამენს დაიჭერენ და ვექილობას მოინდომებენო (ნ.).

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

14 ივნ. ღამის კრება.

მ. ვეზირიშვილი, საგანგებო კომისიის თავმჯდომარე, ვრცელ და დასაბუთებულ სიტყვით გამგეობას ამტყუნებს: თავის მოვალეობა დამფასებელ კომისიას გადასცა, თვითონ კი სადღაც მიიმალა და გადაიკარგაო. საკვირველი ის არის, რომ ბანკმა თითქმის ყველა მთხოვნელს იმდენი ფული მისცა, რამდენიც ითხოვს. იშვიათად თუ დაუკლია 500 მანათი, დანარჩენ შემთხვევაში კი მათი თხოვნა სავსებით დაუკმაყოფილებია. ერთი სახლი სხვა ბანკში 20 ათას მანეთად ყოფილა დაგირავებული. პატრონს აუღია, ჩვენს ბანკში გადმოუგირავებია და კიდევ 30 ათასი მანათი მიუღია, თუმცა კი, გამგეობის ერთის წევრის სიტყვით ეს სახლი 20 ათასადაც არ ღირდა. სად იყო გამგეობა, როცა სახლებს იგირავებდა? აი, მაგალითად, ოქმში ნათქვამია, ესა და ეს სახლი კირით არის აშენებულიო, ნამდვილად კი თიხით აგებული ყოფილა. ბევრია ასეთი სახლი, რომლის შესახებ ოქმებში ნათქვამია, ჭერი შეღებილი აქვს, წყალიც აქვს და ეზოცაო. ნამდვილად კი არც ჭერი ჰქონია შეღებილი, არც ეზო აღმოჩენია და არც წყალი.

მოჰყავს მაგალითები ზოგიერთ სახლის შემოსავლიანობისა:

დაგირავებული ყოფილა			
10,000 მ.	10 თვეში	შემოსულა	110 მ.
„ 15,000	„ „	„	313 „
„ 56,000	„ „	„	1500 „
„ 36,000	„ „	„	309 „
„ 9,000	„ 6 „	„	4 „

ლ. ჩერქეზიშვილი, დამფასებელ კომისიის წევრი, ისევე ვრცლად და დასაბუთებულად მოახსენებს კრებას თავის მართლებას და ციფრებით ამტკიცებს, ზოგიერთი სახლი არც ისე საზარალოა ბანკისთვის, როგორც აქ ამბობენო. სახლების დაფასების დროს ეხლაც იმავე საზომით ვხელმძღვანელობდით, რომლითაც წინად ვხელმძღვანელობდით. თუ მაშინ არა რჩებოდა ბანკს სახლები, ახლა რაღად დარჩა? ცხადია, ეს ჩვენი ბრალი კი არ უნდა იყოს, არამედ საერთო კრიზისისა.

ასევე იმართლებდა თავს დამფასებელ კომისიის მეორე წევრი ყაზახაშვილი.

სრული ორი საათი ილაპარაკა **ა. კობიაშვილმა** და აუარებელ მასალითა, საბუთებითა და ფაქტებით ამტკიცებდა გამგეობის გულცივობასა და დანაშაულს.

სხვა მაგალითთა შორის, მოჰყავს „გაუგებარი და საოცარი" შემთხვევა: შარშან ივლისში ვინმე ბაბაევს თხოვნა შემოუტანია ბანკში, ჩემი სახლი დაიგირავეთო. დამფასებელ კომისიას გაუსინჯავს სახლი და 116 ათას მანათად დაუფასებია. გამგეობას ბაბაევისთვის მოუთხოვნია, ამა და ამ ხუროთმოძღვრებისგან ესა და ეს მოწმობები მოგვიტანეთო. ბაბაევს საჭირო ქაღალდები ვერ უშოვნია და სახლის დაგირავებაზე უარი განუცხადებია. ოთხი თვის შემდეგ—ნოემბერში—იმავე ბაბაევს ხელმეორედ უთხოვნია სახლის დაგირავება. დამფასებელ კომისიას ხელმეორედ უნახავს ეს სახლი და 146 ათას მანათად დაუფასებია. გამგეობას ბაბაევისათვის არავითარი მოწმობა არ მოუთხოვნია და 96 ათას მანათად დაუგირავებია სახლი, რომელიც არაფრად არ ვარგა. კობიაშვილი კითხულობს, როგორ მოხდა, რომ გამგეობამ ბაბაევს საბუთის ქაღალდები არ მოსთხოვა? როგორ მოხდა, რომ დამფასებელმა კომისიამ ვერ იცნო ის სახლი, რომელიც 4 თვის წინად ჰქონდა გასინჯული? ან როგორ მოხდა, რომ ივლისში ბაბაევს იაკობ სიმონის ძე ერქვა, ნოემბერში კი—სიმონ ვართანას ძე?

ან. ფურცელაძე ამას იმით ხსნის, რომ პირველი საქმე ბაბაევისა, სადაც ჯერ არს, ჩაკერებული არ იყოო.

შემდეგ ამისა ა. კობიაშვილმა დაგირავებულ სახლების ღირებულობის შესახებ ილაპარაკა და გამგეობისავე საბუთებით დაამტკიცა, რომ გამგეობას ხშირად ამა თუ იმ სახლში 30, 40, 60, 90 და 120%-ით მეტი მიუცია ნამდვილ ღირებულობაზე.

დასასრულ, ა. კობიაშვილმა ურჩია კრებას: შევადგინოთ განსაკუთრებული კომისია და გამგეობას მივაშველოთო. გამგეობა ისევ თავისუფალი იქნება, ხოლო ამ კომისიას რჩევა სთხოვოს. სხვა რომ არა იყოს-რა, ერთ წელიწადში 1,300,000 მანათის მამული აღარ დაგვრჩებაო.

კრება ღამის 12½ საათზე დაიშალა.

15 ივნისი.

კრება დაიწყო 11½ საათზე. **ა. ნ. ფურცელაძე** უპასუხებს ა. კობიაშვილს წინა დღის სიტყვებზე. ა. კობიაშვილმა ბაბაევის საქმის შესახებ გუშინ ბრძანა: ბაბაევი რომ მეორედ მამულს აგირავებდა, დამფასებელ კომისიას უთხრეს, ხელ-ახლა დააფასეთ ეს მამულიო. ეს ასე არ ყოფილა. ბაბაევი პირველად რომ აგირავებდა მამულს, გამგეობამ მოსთხოვა მას ისეთი მოწმობანი, რომ იმან ვერ შესძლო მათი მოტანა და ამგვარად ეს საქმე მოისპო და არხივში გადაიდო. ამ საქმეში მაშინ თავ. ი. ჭავჭავაძეს მონაწილეობა არ მიუღია და ამ საქმისა არა იცოდა-რა. შემდეგში ბაბაევმა მეორე თხოვნა შემოიტანა და ამ თხოვნაზე გამგეობამ, რადგან პირველ საქმისა არა იცოდა-რა, დააწერა: დამფასებელმა კომისიამ დააფასოს ეს მამულიო. ა. ფურცელაძის სიტყვით, გამგეობა აქ არაფერ შუაშია, ის შეცდომაში შეიყვანა კანცელარიამ. **ა. ი. სარაჯიშვილი** შენიშნავს, თუ კანცელარიაა დამნაშავე, გამგეობამ რაიმე საშუალება უნდა მიიღოს, რომ ამგვარი შეცდომა აღარ განმეორდესო. **თავ. ი. ჭავჭავაძე**. „გვიბრძანეთ რა საშუალება უნდა მივიღოთ?" **ბ. სარაჯიშვილი** „ეგ მე არ შემეხება, ეგ გამგეობამ უნდა იცოდეს". **თავ. ჭავჭავაძე** „არა, მაინც რჩევასა გთხოვთ". **ა. სარაჯიშვილი** „რჩევა თუ გნებავთ, გეტყვით, მაგ შემთხვევაში დამნაშავეს სამსახურიდან დაითხოვენ ხოლმე". **ი. პ. ისარლიშვილი**. ამბობს, რომ ორატორები ცდილობენ იპოვნონ დამნაშავე ამ საქმეში. ისინი ბრალსა სდებენ ბანკის გამგეობას, ბანკის გამგეობა—დამფასებელ კომისიას, დამფასებელი კომისია—კანცელარიას და სხვა, იმაზე კი არავინ ლაპარაკობს, რა ვუყოთ იმ გარემოებას, რომ ჩვენ მილიონზე მეტი ზარალი მოგვივიდა. კომისიის მოხსენებიდანა სჩანს, რომ დარჩენილი სახლები 3 კატეგორიად იყოფა. ერთი კატეგორია დარჩენილია იმ კრიზისის გამო, რომელზედაც გუშინ თავ. ჭავჭავაძე ლაპარაკობდა, მეორე კატეგორიის სახლებზე მეტი ფულია სესხად გაცემული, მესამე კატეგორიაში კი ისეთი სახლებია, რომ მათი დაგირავება არაფრის გზით არ შეიძლებოდაო. ბ-ნი ისარლიშვილი დაწვრილებით აწერს ბანკზე დარჩენილ ბეკხანოვის სახლს. ეს აწერა ცუდს შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე. უნდა მივიღოთ რამე საშუალებაო—დასძენს ორატორი—რომ ეს დიდხანს არ დარჩეს ბანკის ხელში და ყოველ-წლივ, როგორც წელს, 100 ათასი მანათი ზარალი არ მოგვივიდესო. **თავ. ლ. ჩერქეზიშვილი** და **თავ. ი. გ. ჭავჭავაძე** ამაზე უპასუხებენ, რომ ეს სახლი საფუძვლიანია და კომისიამ თავის მოხსენებაში გადააჭარბაო. კრება ამგვარ წვრილმან ანგარიშების წინააღმდეგია და თხოულობს ამ საგანზე კამათის შეწყვეტას. **ა. ი. სარაჯიშვილი**. გამგეობამ დასწერა თავისი მოხსენება, დამფასებელ კომისიამ—თავისი, კერძო კომისიამ კიდევ—თავისი, ახლა ჩვენი საქმეა, როგორ გავერკვევით ამ საქმეში, არ გვინდა თქვენი წვრილმანი განმარტებანიო. **მ. ვ. მაჩაბელი** კრების ყურადღებას აპყრობს იმ გარემოებას, რომ ბანკის გამგეობა თავის თავს მოვალედ არა სთვლის კონტროლი გაუწიოს დამფასებელ კომისიას. ამას როგორმე უნდა მოვუაროთ, დავადგინოთ ამის შესახებ რამე და, თუ გამგეობა ამ დადგენილებას არ აასრულებს, ფინანსთა სამინისტროს განმარტება მოვსთხოვოთო.

ორატორის აზრით, დამფასებელ კომისიას დაფასებას და აქტების შედგენაში არავითარი სისტემა არა აქვს; საჭიროა კრებამ შეიმუშაოს წესები დამფასებლებისათვის სახელმძღვანელოდაო. საჭიროა აგრეთვე აირჩეს სარევიზიო კომისია, რომელიც გადასინჯავს ზედამხედველ კომიტეტისა, გამგეობისა და დამფასებელ კომისიის საქმეებს.

დასასრულ, ბ-ნი მაჩაბელი შენიშნავს, რომ კრებები ირჩევენ ბანკის მოხელეთ ზოგს ნაცნობობით, ზოგს მეგობრობით, ზოგს იმიტომ, რომ დიდი თავადიშვილია და სხვა, და არა იმ მოსაზრებით, რომ ესა თუ ის პირი თავის ცოდნით, პატიოსან შრომითა და ენერგიით ბანკს რაიმე სარგებლობას მოუტანს. სანამ ამ ნათელ-მირონობას არ მოვსპობთ მოხელეთა არჩევნების დროს და მხედველობაში არ გვექნება მხოლოდ ბანკი და მისი საქმეები, ყოველთვის ის საქმე დაგვემართება, რასაც დღეს ვხედავთო.

თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი ვრცელ სიტყვაში შეეხო საგანგებო კომისიის მოხსენებას, რომელსაც ბანკის გამგეობა უარჰყოფს, როგორც გადაჭარბებულს, და ამტკიცებს, რომ კომისიამ თავიდან ბოლომდე თავისი მოვალეობა კარგად შეასრულაო. გამგეობა ამ მოხსენების უმთავრესს ბრალდებებს ვერ უარ-ჰყოფს. ბანკი არსებობს 30 წელიწადი და ამ ხნის განმავლობაში იმან იზარალა მილიონ მანათზე მეტი. ამაზე დღემდის არც გამგეობა, არც საზოგადო კრება ყურადღებას არ აქცევდა და არაფერს ამბობდა. დღეს სულ სხვაა, დღეის შემდეგ მხოლოდ ამაზე უნდა ვიფიქროთ, ამ საქმეს როგორ შემოვუაროთო. შემდეგ ორატორი შეეხო თავ. ჭავჭავაძის გამართლებას. ტფილისში 94 წლიდან საერთო კრიზისია და ბანკმა ზარალი იმიტომ ნახაო. თავ. ჩოლოყაშვილმა მოიყვანა მაგალითები ამ აზრის წინააღმდეგ. მაგ., ქალაქის საკრედიტო დაწესებულებას უკანასკნელ 4 წლის განმავლობაში გაუცია სესხად 15 მილიონი მანათი და უზარალნია სულ ორი ათასი მანათი. მაშინ როდესაც ამ ხნის განმავლობაში სათავად-აზნაურო ბანკს გაუცია 9 მილიონი და უზარალნია 70 ათასი. თუ ერთი ბანკისთვის იყო კრიზისი, რატომ მეორისთვის არ იყოო. დასასრულ თავ. ჩოლოყაშვილი ამტკიცებდა, რომ გამგეობა პასუხს უნდა აგებდეს თუ მამული სწორედ ვერ დაფასდა და ამით ბანკმა იზარალაო. თავ. ჩოლოყაშვილის სიტყვას საზოგადოება ტაშის კვრით მიეგება. კრება გადიდო დღეს, დილის 10 საათისთვის.

ბიბლიოგრაფია

„ხალხური ვეფხის ტყაოსანი", ჩაწერილი ს. მერკვილაძის მიერ. წიგნის მაღაზიის „ცოდნა"-ს გამოცემა, ფასი 10 კ.

ხალხური „ვეფხის ტყაოსანი" რომ ჟურნალში ყოფილიყო დაბეჭდილი, როგორადაც მასალა ხალხისაგან ხელოვნურ ნაწარმოების შეგნების და გარდაქმნისა, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, ისიც მაშინ, თუ სიტყვა-სიტყვით იქნებოდა ჩაწერილი ჯილოლა არაბულის ნათქვამი.

ცალკე წიგნად კი სახალხო საკითხავად და ამასთან ჩამწერის გარდმოცემით ამ წიგნაკს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და მაზე დახარჯული ფული და შრომა უნაყოფოდ ჩაუვლის „ცოდნას".

ხევსურულ „ვეფხის ტყაოსანს" არა ჰკლებია თავისებური პოეზია, რასაც მოწმობს უცვლელად მოყვანილი ზოგი ლექსი:

ტარიელ, მზის მაძებარი,
ზღვის ნაპირთ იარებოდა.
მზე ჩახდა, დადგა ტარიელ,
ამოხდა, იარებოდა
მასკვლავი ჰქონდა ლოგინად,
მთვარე გულს ეფარებოდა...

ამ თქმულებით ტარიელს შილდ-ისართან ერთად თოფიცა აქვს. მისი სარბიელი საქართველოა და, რაკი საზღვარს გადასცდება, სათათრეთში შედის. ავთანდილი ბიძაშვილია ტარიელისა და ავთანდილზე ნათქვამი ხალხური ლექსი:

ავთანდილ გადინადირა
ქედი მაღალი, ტყიანი...

„ვეფხის ტყაოსნის" გმირისთვის მიუწერია ხევსურს.

კორესპოდენცია

ქ. ოზურგეთი, 10 ივნისს. აქაურმა „ადებმა" დანაპირები არ შეუსრულეს თავისს ნოქარ-შეგირდებს, პირი გასტეხეს, მოატყუეს და ამას მოჰყვა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ყველა ნოქრები და შეგირდნი კვლავ გაიფიცნენ. მაღაზიები დაკეტილებულია და სამი-ოთხი ნოქრისა ანუ შეგირდის ნაცვლად, „ადა" ზის დახლში, იდაყვზე დაყრდნობილი და ღრმა ფიქრებში გართული!..

9 ივნისს, ქალაქის ბაღში კრება ჰქონდათ „ხაზეინებს" ამ მათთვის საუბედურო საქმის გასწორებისად. კრებას ხელოსნები არ დასწრებიან, იმ მოსაზრებით, რომ „თქვენთან (ვაჭრებთან) არაფერი საერთო არა გვაქვს და ჩვენს საქმეს ჩვენ მარტო გავაკეთებთო". ვაჭრებმა დიდხანს ნაყეს წყალი უაზრო და უნიადაგო „მსჯელობით" და ბოლოს ხუთმეტიოდემ ქაღალდზე ხელი მოაწერა—„გავმაუთ ვიდებთ", მარა „ხელის მოწერა" არაფერს ნიშნავს—ყველაფერი საქმით უნდა იქმნას განხორციელებული და ბევრი ლაპარაკი საქმეს არ უშველის...

როგორც ამბავი მოვიდა, აგარაკ ბახმაროზე ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს გადაუწვავთ ყველა საზოგადო სახლი, მაღაზია, სასადილო მენიბა და თეატრის დარბაზი, აგრეთვე დამწვარა რამდენიმე კერძო სახლიც.

ჭინკაა.

რიონ გაღმის კუთხე (ქუთაისის მაზრა), 8 ივნისი. უამინდობამ თავი მოგვაბეზრა; მეორე თვეა, რაც გამუდმებით წვიმს, თითქმის ყოველ მეორე-მესამე დღეს. სიმინდის ყანები გაუმარგლავია და დაყვითლდა, ვაზის წამლობაც არ გვცალდა წვიმამ. საზოგადოთ ვაზები და ყანები კარგ იმედს იძლევა, თუ ამდენმა ავდრიანობამ არ წაახდინა. აბრეშუმის ჭიას ჟღრჟღრობით ყველა ემადლიერება; ამ ერთ კვირაში პარკიც შემოვა. ვაჭრები ჯერ მიმალულნი არიან და არას აცხადებენ. ქალები შეშინებულნი არიან, ვაი თუ პარკს ფასი არ ქმნეს და შრომამ უქმად ჩავიაროსო. სიმინდი გაძვირდა, ფუთი 60—70 კაპიკად იყიდება; ღვინო კი იაფია: ჩაფს კარგ ღვინოს 1 მან. 50 კ. იყიდით.

ს. ამაღლებაში ხაზინის ხარჯით დაარსდა საფერშლო პუნკტი და ფერშლად დანიშნულ იქმნა ი. აბრამიძე. აქვე არის აფთიაქიც ი. ხოჯაშვილისა.

აქედ, ნაადგომევს სამინისტრო და სამრევლო სკოლებში სწავლა აღარ ყოფილა რადგან, ზოგან ხალხმა, ზოგან მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა დაჰგმეს დღევანდელი პროგრამა სკოლისა და შეწყვიტეს მეცადინეობა. მხოლოდ ამაღლების სამრევლო ორკლასიან სკოლაში კი სწავლა ბოლომდე არ შეუწყვეტიათ. ეტყობა, რომ ამ სკოლის მასწავლებლები თავის თავს უფრო ემსახურებიან, ვიდრე—საზოგადო აზრს...

კვარას, 29 მაისს, ს. გორაში პატარა მდინარემ „ფურეთამ" მოიტაცა და დაარჩო ერთი ქვრივი დედაკაცი, რომელიც გამოსულიყო მდინარის ნაპირას შეშის საშოვრად. წვიმა-ნიაღვრების გამო, წყალი უცებ მოვარდა და საბრალო დედაკაცი წაითრია; შემდეგ ჭალებში ნახეს გვამი დამრჩვალისა.

ივნისის 5-ს, კვირას, წირვის შემდეგ, ს. ბზვანის წმ. გიორგის ეკლესიაში გადაიხადეს პანაშვიდი ლენხუმში მოკლულის შამშე გელოვანის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო ყველა, განურჩევლად წოდებისა და სქესისა. ადგილობრივმა მღვდელმა მამა გ. ტ—მა აუწყა დამსწრეთ განსვენებულის ვინაობა და მაზეზი, თუ რის გამო იქმნა მოკლული.

ხალხი ძლიერ შეაწუხა შამშეს მოკვლის ამბავმა.

ს. ბზვანში მოდებულია ყვავილი; საჭიროა მაზრის ექიმის-მიერ ზომების მიღება.

ვლადო ბზვანელი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

15 ივნისი.

ტოკიო. არის იმისი ნიშნები, რომ იაპონიის ვაჭრობა ისევ წესიერს კალაპოტში ჩადგება.

ბევრი გემი გაანთავისუფლეს მთავრობის სამსახურისაგან. ყოველგვარ ღონისძიებასა ჰხმარობენ, რომ მანჯურიაში ვაჭრობა განავითარონ. სამხედრო სადეპეშო სადგურები ანჩჟუ, ჩონჯუ და იჯუ 18 ივნისიდან საზოგადოებისათვის გახსნილი იქნება. იაპონიასა და მანჯურიას შორის ჩქარა დააწესებენ წესიერს საფოსტო მისვლა-მოსვლას.

ტოკიო, 14 ივნისი („დეილი ტელეგრაფი"). რუსთა უმთავრესი რაზმები, რომელთაც ხაიონპონგიდან დაიწიეს, ახლა შტოკოლსა და ტანსაპოსუს შუა მდებარე მაღლობებზე იმყოფებიან, იონგსონგის სამხრეთ-აღმოსავლეთად. მდ. ტუმენის მარჯვენა ნაპირზე რუსები გაცხარებით მუშაობენ და თავშესაფარებელ სანგრებს აგებენ, რომ იაპონელთა ზედ-მოსევა მოიგერიონ.

პარიზი, 15 ივნისი. მაროკკოს საქმის სასურველად გადაწყვეტას ახლა ვერავითარი გარემოება ვერ დააბრკოლებს. საფრანგეთიც და გერმანიაც დარწმუნებულნი არიან, რომ მშვიდობიანს შეთანხმებას მოასწრებენ.

ტანჟერი. ტაილანდიემ, ტატემბახმა და ლოუტერმა ბრძანება მიიღეს, ტანჟერს დაბრუნდითო.

პარიზი. მთავრობამ სენატში პროექტი შეიტანა უზენაეს სასამართლოს-მიერ დასჯილთა პატაბის შესახებ.

პირიზი (ჰავასი). გერმანიის ნოტა, რომელიც რადოლინმა ჩააბარა რუვიეს, ვრცელია და მეგობრულის, მშვიდობის მოყვარის, ზომიერისა და თავაზიანის შინაარსისაა. ნოტა მხარს უჭერს კონფერენციის მოწვევას და იმასაც აღიარებს, რომ მაროკო ალჟირის მოსაზღვრეა და საფრანგეთს იქ განსაკუთრებული ადგილი უნდა ეჭიროს, ხოლო ამას არც ჩვენ ვსტოვებთ უყურადღებოდაო. ნოტის გადაცემის დროს ერთმანეთს გულითადი კომენტარიები და სალამი უძღვნეს, რაიცა იმის ნიშანია, რომ შეთანხმება შესაძლებელია.

ბელგრადი. პოლიტიკოსები დიდის ყურადღებით ექცევიან ავსტრია-უნგრეთის საშინაო განხეთქილებას. ამბობენ, უნგრეთმა ავსტრიასთან შეუთანხმებლად ისეთი მოთხოვნილება წარადგინა, რომ ავსტრიამ ხელი უნდა აიღოს ყოველგვარს ექსპანსიურს პოლიტიკაზეო.

ნოვობაზაროვის სანჯაკში, მაკედონიაში, გარდაიცვალა სერბთა სასულიერო რწმუნებული ვესელინოვიჩი.

კალიში. ოფიციალურად აცნობენ გუბერნატორს, ჭკარში თოფ-რევოლვერების სროლამ, რომელმაც ყველას თავზარი დასცა, იმსხვერპლა ერთი ახალგაზრდა ებრაელი ქალიო. თურმე სროლის გაგონებაზე გული შეუწუხებია და იქვე მომკვდარა. გარდაცვლებული ჩუმად დაუმარხავთ ნათესავებს, რათა არ გაეჭრათ.

ჩენსტოხოვი. ეტლით მიმავალ პოლიცმეისტერს ყუმბარა ესროლეს და დასჭრეს. დიდ ქარხნების მომუშავენი გაიფიცნენ.

ოდესსა, 14 ივნისი. გრადონაჩალნიკი აცხადებს გაზეთებში, ხალხმა ჯარს ქვა დაუშინა, ჯარმაც თოფის სროლით უპასუხა. ორი მოკლულია, ერთი დაჭრილი. ხვალ გაზეთები არ გამოვა.

სიმლა. კერზონი სთხოვს ინგლისის მთავრობას, ინდოეთის ჯარში ცვლილება მოახდინე, თუ არა და სამსახურიდან დამითხოვეთო.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი**.
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი**.

გამოსადეგი ცნობანი

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113. ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19. ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევს 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნა[illegible]დღევს 2 [illegible] 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევს 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევს 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. წ. (11) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის.

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევს 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.)

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევს 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევს 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.)

განცხადებანი

ხუთი ახალი წიგნი
წიგნის მაღაზია „ცოდნა"-ს გამოცემა
სამშობლოსათვის თავდადებულნი. . 40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში . 20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა . 20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი . . . 10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა. 20
დარბაზის კედლებად მოსართავი სურათები:
შოთა რუსთველისა, დიდი 50 კ., აკაკისა 40 კ., ილია ჭავჭავაძისა 40 კ., რაფიელ ერისთავისა 40 კ, ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ., ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ., საქართველოს დიდება 1 მ. 20 კ., თამარ მეფის დიდი სურათი 1 მ. 50 კაპ. და პატარა 6 კაპ.
და სხვა ყოველგვარი წიგნები.
მოსამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა". ხოსიკო მერკვილაძე. (20—5)

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი
ბრძოლა არსებობისათვის
დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად
და სხვადასხვა ლექსები და პოემები დ. გაბრუაშვილისა ისყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—6)

პირველად ქართულს ენაზე
◆ ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი ◆
უცხო ←— სიტყვათა ლექსიკონი
რომელშიაც შეკრებილ-განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასათვის გასაგები ენითა და მაგალითებით,—რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ. წიგნს დართული აქვ ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. „უცხო ანდაზები და წინადადებანი, რომელიც არა ერთგზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 სვ., დაბეჭდილია სუფთად, კარგ ქაღალდზე და ღირს მხოლოდ 1 მან., საუცხოვო (ოქროს-ვარაყიან ასოებით დაბეჭდ.) კალენკორის ყდით—მანათ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 30 კ. წიგნი ფას-დადებითაც შეიძლება გაიწერონ. უმთავრესი საწყ. ტფილისში, ქაშვეთის ქ., გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: Тифлисъ, книжная торг. І. З. Имедашвили. (5—6.—4)

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდონტინი" მ. ვ. ლებედევისა
ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473.
იყიდება ტფილისში—საავთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (0—6—7).

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა", ფრეილინის ქ., № 5.